F-171
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1982

აპრილი № 4 АПРЕЛЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F-4947

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში სახელმძღვანელოებითა და სასწავლო პროგრამებით სკოლების უზრუნველყოფის, სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-გამოყენებისა და ადგილებზე მასწავლებელთა მიერ მეთოდური ლიტერატურით სარგებლობის მდგომარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა რესპუბლიკის სკოლების უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით, სასწავლო პროგრამებით, კლასგარეშე საკითხავი თუ მეთოდური, დიდაქტიკური დამხმარე ლიტერატურით და ადგილებზე მასწავლებელთა მიერ მიზნობრივად მათი გამოყენების საქმე, რასაც დიდად შეუწყო ხელი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადაყვანის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 126 დადგენილებისა და შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1978 წლის 8 აგვისტოს № 522 ბრძანების, სათანადო ინსტრუქციისა და მომდევნო წლებში სამინისტროს მიერ დასახული რიგი ღონისძიებების ცხოვრებაში განხორციელებამ.

პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვის შედეგად რესპუბლიკაში დღეისათვის ოთხივე (ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული) ენაზე მომუშავე ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო დღისა თუ საღამოს სკოლების და სკოლა-ინტერნატების მოსამზადებელი — VII კლასების 724 ათასზე მეტი მოსწავლე გადაყვანილია სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე, რისთვისაც მარტო 1981 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული იყო ერთი მილიონ 303 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულია ერთი მილიონ 850 ათასი მანეთი.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები სისტემატურად მუშაობენ იმ მიმართებით, რომ თითოეულ მოსწავლემდე, მათ მშობლებამდე დაიყვანონ ზემოაღნიშნული დადგენილების არსი და მნიშვ-

ბ. ბერძენიშვილის სახ. საქ. ... სახ. ... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

ნელობა, ჩაუნერგონ მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი ფაქიზი დამოკიდებულების გრძნობა, აღზარდონ მათში წიგნისადმი ფრთხილებისა და მოვლა-პატრონობის ჩვევები.

მასწავლებელთა ცენტრალური და ქ. თბილისის დახელოვნების ინსტიტუტები წლის განმავლობაში ყველა კატეგორიის მსმენელთათვის ითვალისწინებენ ორ-ორ სალექციო საათს სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-განახლებისა და მათი გამოყენება-შენახვის საკითხებზე; აგრეთვე, ორივე ინსტიტუტის ბაზაზე ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებს 250-მდე სკოლის ბიბლიოთეკარი. ტარდება როგორც ზონალური, ისე რესპუბლიკური თათბირები სახალხო განათლების ხელმძღვანელი მუშაკების, საბიბლიოთეკო ფონდებზე მომუშავე მეთოდისტებისა და ბიბლიოთეკარებისათვის, სისტემატურად ეწყობა რადიოგადაცემების ციკლი. საბიბლიოთეკო ფონდების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მიერ მომზადდა და ეთერში ორჯერ იქნა ნაჩვენები ტელეგადაცემა „იცოცხლე წიგნო".

სათანადოდ წარმოებული მუშაობის შედეგად, ძირითადად, შესაძლებელი გახდა მთავრობის მიერ დაწესებული სახელმძღვანელოების ხმარების ოთხწლიანი ვადის დაცვა.

შემოწმებული 21 რაიონის 113 სკოლის უმრავლესობაში ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს საბიბლიოთეკო ფონდების მოვლა-პატრონობისა და შევსება-გამოყენების საქმეში. აქტიურად მოქმედებენ წიგნის შემკეთებელთა წრეები, კლასებს შორის ეწყობა შეჯიბრება-კონკურსები დევიზით „ვინ უკეთ უვლის სახელმძღვანელოს", ტარდება რეიდები წიგნების მდგომარეობის შესამოწმებლად, სახელმძღვანელოებისათვის გამოყოფილია ცალკე სათავსოები, შეძენილი აქვთ სტელაჟები, ბიბლიოთეკარებს სწორად აქვთ შევსებული ფონდირებული სახელმძღვანელოების სააღრიცხვო ჟურნალები და მათი სარეგისტრაციო ბარათები.

აღსანიშნავია, ისიც, რომ რიგი რაიონების აღმასკომები (გეგეჭკორის, ბოგდანოვკის და სხვ.) დიდი ყურადღებით ეკიდებიან სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-განახლებისა და დანიშნულებისამებრ მათი გამოყენების საქმეს, პერიოდულად თავიანთ სხდომებზე იხილავენ რაიონში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას და კონკრეტულ ღონისძიებებს სახავენ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შესამჩნევად გაუმჯობესდა, აგრეთვე, სკოლებამდე სასწავლო პროგრამების, მეთოდური, დიდაქტიკური თუ სხვა დამხმარე ლიტერატურის დაყვანისა და ადგილებზე პედაგოგების მიერ მათი გამოყენების საქმე.

მეთოდური ლიტერატურის გამოყენების საქმეში დადებითი მუშაობის მაგალითს იძლევა ლანჩხუთის 1-ლი, თეთრიწყაროს ქართული და რუსული, ქარელის მე-2, თბილისის 1-ლი, 37-ე, 78-ე, 89-ე,

126-ე და სხვა სკოლების ბიბლიოთეკართა მუშაობა, რომლებიც მას-
წავლებელთათვის ახლადგამოსული მეთოდური და დიდაქტიკური ლი-
ტერატურის დროულად გაცნობის მიზნით სამასწავლებლოებსა და ბიბ-
ლიოთეკებში აწყობენ და აფორმებენ მეთოდურ კუთხეებსა და სტენ-
დებს.

ამასთან, სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდე-
ბის შევსება-განახლებისა და ადგილებზე პედაგოგების მიერ მეთოდუ-
რი ლიტერატურის გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სე-
რიოზულ ხარვეზებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ სასწავლო-
აღმზრდელობითი პროცესის სათანადო დონეზე წარმართვის საქმეზე.

შემოწმებული რაიონების რიგ სკოლებში სახელმძღვანელოების
საბიბლიოთეკო ფონდების მოვლა-პატრონობის საქმე ვერ დგას სათა-
ნადო დონეზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ სახელმძღვანელოებისა-
თვის არაა გამოყოფილი ცალკე საცავები, არა აქვთ სტელაჟები, გამო-
უყენებელია სააღრიცხვო ჟურნალები და სარეგისტრაციო ბარათები,
სკოლებში არაა შექმნილი საამკინძაო წრეები და არ ხდება მწყობრი-
დან გამოსული სახელმძღვანელოების შეკეთება, სუსტია მოსწავლეებ-
თან ჩატარებული აღმზრდელობითი მუშაობა (ახალციხის, თეთრი წყა-
როს, ასპინძის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, ლანჩხუთის რაიონები).

ახალციხის, ასპინძის, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონების
სკოლებში არაა შექმნილი ფონდირებული სახელმძღვანელოების სა-
ვალდებულო რეზერვი მოსწავლეთა რაოდენობის 5 პროცენტის ოდე-
ნობით, რაც განსაკუთრებული სიმწვავით იჩენს თავს სასაზღვრო ზო-
ნის სკოლებში, რადგან ამ რაიონებისათვის დამახასიათებელი სპეცი-
ფიურობის გამო, მოსწავლეთა კონტინგენტი სხვა რაიონებთან შედა-
რებით უფრო ცვალებადია.

ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების ორგანოები არასერიო-
ზულად ეკიდებიან განათლების სამინისტროში სახელმძღვანელოების
დასაკვეთი ლიმიტის წარმოდგენის საკითხს — ლიმიტები უსწოროდ
და არაზუსტადაა შედგენილი, რის გამოც გაუთავებლად იგზავნება წე-
რილები სახელმძღვანელოების დამატებით გამოყოფის შესახებ. მიმ-
დინარე სასწავლო წლისათვის დამატებით გამოყოფილი სახელმძღვანე-
ლოების რაოდენობამ ქართული სკოლებისათვის 33 632 ცალს გადა-
აჭარბა.

შეინიშნება, რომ კლასის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი უგულე-
ბელყოფს სასწავლო წლის ბოლოს სახელმძღვანელოების ხმარებისა-
თვის მოსწავლეთა სავალდებულო შეფასების აღმზრდელობით ფუნ-
ქციას და სახელმძღვანელოთა ვარგისიანობის განსაზღვრისა და მათი
შეფასების გარეშე, წიგნს შეუკეთებლად გადასცემს მომდევნო კლასე-
ბის მოსწავლეებს.

შემოწმებამ გამოავლინა ისიც, რომ ცალკეული სკოლები ვერ ღე-
ბულობენ მათთვის განაწილებით გათვალისწინებულ განსაზღვრული რა-

ოდენობის სახელმძღვანელოებს. ასე მაგალითად, ცხაკაიას რაიონის სოფლის სკოლებმა „ცეკავშირიდან“ შემცირებული რაოდენობით იღეს სახელმძღვანელოები, რაც შემოწმებისას დაადასტურა ამავე-ონის კოოპკავშირის თავმჯდომარემ ამხ. კ. ჩაჩიბაიამ, განათლების განყოფილება კი სათანადო მომთხოვნელობით არ მოეკიდა ამ საკითხს, რის შედეგადაც ამ რაიონის სკოლებს მოსამზადებელი კლასიდან მე-8 კლასამდე ჩათვლით დააკლდათ 1289 სახელმძღვანელო.

არაიშვიათად თვით სკოლის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებით არ ეკიდება სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფის საქმეს; წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილებამ რუსული სკოლის მე-5 კლასებისათვის მოითხოვა გერმანული ენის სახელმძღვანელო, მაშინ როცა ამ კლასებში ინგლისური ენა ისწავლება და სხვ.

სერიოზული ხარვეზები შეინიშნება, აგრეთვე, მეთოდური, დიდაქტიკური და სხვა დამხმარე პედგოგიკური ლიტერატურით სკოლების უზრუნველყოფისა და მასწავლებლებამდე მათი დაყვანის საქმეში. ზოგან, წლიურ სამუშაო გეგმებში არ ითვალისწინებენ და არც სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე არ იხილავენ რაიონში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას. სკოლების კომპლექსური და თემატური შემოწმების დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მასწავლებელთა მიერ მეთოდური ლიტერატურის გამოყენების საკითხებს, რის გამოც, მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იცნობს ახალ მეთოდურ ლიტერალურას და რეკომენდაციებს, სუსტად ფლობს საგნის სწავლების მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს, კმაყოფილება ერთხელ მიღებული ცოდნით და არ იმაღლებს თავის სპეციალობაში პროფესიული მომზადების დონეს.

ნაკლოვანებები აღინიშნება, აგრეთვე, სასკოლო ბიბლიოთეკების საკითხავი ლიტერატურით თანამიმდევრული შევსებისა და გამოყენების საქმეში. მართალია რესპუბლიკის სკოლებს, ძირითადად, სრულად აქვთ მიღებული „სასკოლო ბიბლიოთეკისა“ და „საბავშვო მსოფლიო ლიტერატურის“ სერიით გამოცემული საკითხავი წიგნები, მაგრამ, რიგ შემთხვევაში, სკოლის დირექტორებისა და ბიბლიოთეკარების ზედმეტი, სრულიად გაუმართლებელი „სიფრთხილის“ გამო ეს წიგნები გადაქცეულია მხოლოდ სავიტრინო წიგნებად და, ცხადია, არც ხვდება მოსწავლეთა ხელში.

სასწავლო პროგრამების, მეთოდური და სხვა დამხმარე პედაგოგიური ლიტერატურის მასწავლებლებამდე დაყვანის საქმეში არსებული ნაკლოვანებები ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ჯერ კიდევ სე-

რიოზული ხარვეზები შეინიშნება განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო ბიბლიოთეკა
ბიბლიოლექტორის მუშაობაში (დირექტორი ამხ. ვ. რამიშვილი).

მოუწესრიგებელი აღრიცხვიანობისა და უყურადღებობის შედეგად აღინიშნება შემთხვევები, როცა ერთი და იგივე დასახელების პროგრამები ერთსა და იმავე რაიონში შეცდომით გაიგზავნა ორჯერ (მცხეთის, საჩხერის, წყალტუბოს, ახმეტის რაიონები).

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. უზრუნველყონ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადაყვანის შესახებ" საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1978 წლის 8 აგვისტოს № 522 ბრძანებით და ამ საკითხზე სამინისტროს მიერ შემუშავებული ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების ადგილებზე შესრულების მდგომარეობის შესწავლა და შემოწმების შედეგები წინამდებარე გადაწყვეტილებასთან ერთად მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრში განიხილონ კოლეგიებზე, განათლების განყოფილებებისა და ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საბჭოების სხდომებზე, განახორციელონ კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და საჭიროების შემთხვევაში საკითხი განსახილველად შეიტანონ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროებზე, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რიონული საბჭოების აღმასკომების სხდომებზე; განხორციელებული ღონისძიებების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს;

1. 2. აამაღლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების, პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა მოსწავლება შორის სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, წიგნის მოვლა-პატრონობის ჩვევების გამომუშავების საქმეში, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ იმ სკოლების ხელმძღვანელებისა და ბიბლიოთეკარების მუშაობას, რომელთა საქმიანობაშიც აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებები.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა:

2. 1. შედეგიანად იზრუნონ, რათა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ნახმარი სახელმძღვანელოები მაქსიმალურად იქნას შეგროვებული, დროულად შეკეთებული და ახალი სასწავლო წლისათვის ხმარებისათვის ვარგისიანობაში მოყვანილი;

2. 2. სასკოლო ბიბლიოთეკებთან შექმნან საამკინძაო წრეები, მასში აქტიურად ჩააბან მოსწავლეები, რისთვისაც უნარიანად გამოიყენონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების შესაძლებლობები.

3. სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა (ამხ. თ. ეგაძე) და ი. გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-პედაგოგიურმა ბიბლიოთეკამ (ამხ. ნ. იოსელიანი):

3. 1. უზრუნველყონ სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდებზე მომუშავე მეთოდისტების ზონალური თათბირ-სემინარების ჩატარება მეთოდური დახმარების მიზნით;

3. 2. ორგანიზაცია გაუკეთონ სასკოლო ბიბლიოთეკარების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს ცენტრალური და ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების ბაზაზე;

3. 3. შეიმუშაონ და ორი თვის ვადაში სახალხო განათლების განყოფილებებს დაუგზავნონ ახალი, სრულყოფილი წესდება სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტების უფლება-მოვალეობათა შესახებ.

4. განათლების სამინისტროს სასკოლო ბიბლიოლექტორის დირექტორმა (ამხ. ვ. რამიშვილი):

4. 1. ძირფესვიანად გარდაქმნას და მკვეთრად გააუმჯობესოს ყოველდღიური ხელმძღვანელობის სტილი, სრულად აღკვეთოს და მოაწესრიგოს ბიბლიოლექტორის საქმიანობაში არსებული დარღვევები, მკაცრად იმსჯელოს და უყურადღებოდ არ დატოვოს ადგილებიდან შემოსული არც ერთი სიგნალი ამანათების დაგვიანებისა და მათში დანაკლისი ეგზემპლარების თაობაზე.

5. ეს გადაწყვეტილება და ცნობა დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს და შეტანილ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

6. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს სახელმძღვანელოების სამმართველოს (ამხ. ნ. ა. ღლონტი).

კოლეგიის თავმჯდომარე,

მინისტრი **ო. ძინძლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში სახელმძღვანელოებითა და სასწავლო პროგრამებით სკოლების უზრუნველყოფის, სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-გამოყენებისა და ადგილებზე მასწავლებლების მიერ მეთოდური ლიტერატურით სარგებლობის მდგომარეობის შესახებ

განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველომ და საბიბლიოთეკო ფონდების რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა გასული წლის სექტემბერში შეისწავლეს საგარეჯოს, ყვარლის, გურჯაანის, ლაგოდეხის, მესტიის, ვანის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, ლენტეხის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, აბაშის, ქარელის, თეთრიწყაროს, ონის, ამბროლაურის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული მუშაობა სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-გამოყენებისა და მასწავლებელთა მიერ მეთოდური ლიტერატურით სარგებლობის შესახებ.

სულ შემოწმებული იქნა 98 საშუალო და 15 რვაწლიანი სკოლა. შემოწმების მიზანი იყო სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების, მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურის მიღების, აღრიცხვის, მოვლა-პატრონობისა და მასწავლებელთა მიერ თავიანთ მუშაობაში მიზნობრივად გამოყენების საქმეში სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, სკოლების ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივების დადებითი გამოცდილების გაცნობა, არსებული ნაკლოვანებების შესწავლა-გამოვლენა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გაწევა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზემოაღნიშნული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების უმრავლესობამ სერიოზული მუშაობა ჩაატარა ამ მიმართებით. რაიონების უმრავლესობაში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 126 დადგენილება და განათლების სამინისტროს შესაბამისი ინსტრუქცია დროულად იქნა განხილული სკოლის ხელმძღვანელთა თათბირებზე, პედსაბჭოს სხდომებზე, ღია პარტიულ კრებებზე.

სკოლის ადმინისტრაციის, კლასის ხელმძღვანელების, ბიბლიოთეკარების სამუშაო გეგმებში შეტანილია ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სასკოლო სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობასთან, უნერგავს მოსწავლეს წიგნისადმი პატივისცემის გრძნობას, ულვივებს ინტერესს წიგნის კითხვისადმი. მიმდინარეობს ნახმარი სახელ-

მძღვანელოების შეგროვება და შეკეთება მათი ხელმეორედ გამოყენებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის, საგარეჯოს 1-ლი, ყვარლის რაიონის შილდის 1-ლი, ენისელის, გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის, შაშიანის, ლაგოდეხის მე-2 რუსული, მესტიის 1-ლი, ვანის რაიონის ტობანიერის, სამტრედიის 1-ლი, მე-2, მე-3, ლენტეხის 1-ლი, ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის, ლესის, ჩოხატაურის რაიონის ერკეთის, ჩოხატაურის მე-2, აბაშის რაიონის სუჯუნის, სამიქაოს, თეთრიწყაროს 1-ლი, ქარელის მე-2, ქარელის რაიონის ბრეთის, ონის მე-2, ამბროლაურის 1-ლი, ახალქალაქის 1-ლი, მე-2, ახალქალაქის რაიონის კულიგამის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები.

ზემოაღნიშნულ სკოლებში აქტიურად მოქმედებენ წიგნის შემკეთებელთა წრეები. კლასებს შორის ეწყობა შეჯიბრება-კონკურსები დევიზით: „ვინ უკეთ უვლის სახელმძღვანელოს". ტარდება რეიდები წიგნის მდგომარეობის შესამოწმებლად. თითოეულ ზემოხსენებულ სკოლას შეძენილი აქვს სტელაჟები სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის. ბიბლიოთეკარებს სწორად აქვთ შევსებული სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების სააღრიცხვო წიგნი, საალრიცხვო ბარათები და სააღრიცხვო ბარათების სარეგისტრაციო ჟურნალი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობამ საგანგებო ყურადღება დაუთმო სახალხო განათლების სფეროში არსებულ პრობლემებსა და ამოცანებს. ამ დიდმნიშვნელოვანი პარტიული ფორუმის სათანადო დოკუმენტში კვლავაც ხაზგასმით არის აღნიშნული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფის, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის დონის ამაღლების აუცილებლობა, რაც პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ როგორია მასწავლებელთა ერუდიცია, მათი იდეურ-პოლიტიკური მრწამსი, მეთოდური კვალიფიკაცია და თუ როგორ ფლობს მასწავლებელი საშუალებათა მთელ არსენალს გაკვეთილის ეფექტურად და შინაარსიანად ჩასატარებლად. ამიტომ, სკოლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგიური კადრების თვითგანათლების პრობლემას. სახალხო განათლების ორგანოებსა და სკოლის ხელმძღვანელთა მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს თვითგანათლების საქმეში მასწავლებელთა სწორად ორიენტირებისათვის გაშლილ საქმიანობას. მასწავლებელი აუცილებლად საჭიროებს დახმარებას ამაში, განსაკუთრებით სოფლის სკოლის მასწავლებელი. ამასთან, ვერავითარ დახმარებაზე ვერ ვილაპარაკებთ, თუ პირველ რიგში, სკოლა და მასწავლებელი დროულად არ იქნებიან უზრუნველყოფილი თითოეული საგნის შესაბამისი მეთოდური, დიდაქტიკური და სხვა დამხმარე ლიტერატურით. ამიტომ, ამ საკითხის მოგვარების საქმე დღეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად წარმოგვიდგება.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მეთოდური ლიტერატურისა და დიდაქტიკური მასალების დროულად მიღების, სკოლებზე მათი განაწილებისა და მიზნობრივად გამოყენების საქმეში იგრძნობა ერთგვარი წინსვლა, სახალხო განათლების განყოფილებათა, მეთოდკაბინეტების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების მუშაობაში შეინიშნება როგორც დადებითი, ასევე რიგი ნაკლოვანი მხარეებისა.

სასკოლო ბიბლიოთეკრის მიერ ნუსხის შესაბამისად 1980 წელსა და 1981 წლის მაისამდე გაგზავნილი ლიტერატურა შემოწმებული რაიონების უმრავლესობას (მცირე გამონაკლისის გარდა) დროულად აქვს მიღებული. სახალხო განათლების საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტის სრული პასუხისგებით სისტემატურად წარმოებს მიღებული ლიტერატურის აღრიცხვა და სკოლებზე განაწილება. განაწილებას საფუძვლად უდევს სკოლაში შესაბამის საგნის მასწავლებელთა რაოდენობა. მეთოდური და სხვა დამხმარე ლიტერატურის მცირე რაოდენობით მიღების შემთხვევაში ლიტერატურა, ძირითადად, უნაწილდება სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებებს, რაიონის მეთოდკაბინეტებს და საბაზო სკოლებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახალხო განათლების განყოფილებიდან მეთოდური ლიტერატურა, განაწილების შესაბამისად, თითქმის ყველა შემოწმებულ სკოლას დანაკლისის გარეშე აქვს მიღებული და დაცული.

მასწავლებელთა უმრავლესობას შეგნებული აქვს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის საქმეში მათზე დაკისრებული ამოცანების სირთულე. ისინი სისტემატურად ზრუნავენ პედაგოგიურ მეცნიერებათა მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე საკუთარი ცოდნის გაღრმავებისათვის პრესით, ჟურნალ-გაზეთებით, მეთოდური, დიდაქტიკური და სხვა დამხმარე ლიტერატურით. ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული სადირექტივო დოკუმენტები მარჯვედ აქვთ გამოყენებული სამოქმედო იარაღად. მასწავლებელთა ასეთ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან და ზრუნავენ მათ დასახმარებლად ლანჩხუთის, ყვარლის, გურჯაანის, სამტრედიის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელი მუშაკები. წლიურ სამუშაო გეგმებში გამახვილებული აქვთ ყურადღება მეთოდური და სხვა დამხმარე ლიტერატურის, სადირექტივო დოკუმენტების მასწავლებლებამდე დაყვანისა და რაციონალურად გამოყენების საკითხებზე. აღნიშნული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების მიერ სკოლების კომპლექსური და თემატური შემოწმების დროს მთელი აქტუალობით არის შესწავლილი მასწავლებელთა მიერ მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურის სწავლებაში გამოყენების საკითხები. ყვარლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების (გამგე რ. შავგულიძე საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტი ე. ხარებაშვილი) მიერ სოფელ ენისელის საშუალო სკოლაში 1981

წლის თებერვალში ჩატარებული კომპლექსური შემოწმების [illegible] კონკრეტულად არის აღნიშნული მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნებისათვის სკოლის დირექტორის მხრივ გაწეული მუშაობა და ამ მუშაობის შედეგები, დასახელებული არიან ამ მიმართებით კარგად მომუშავე მასწავლებლები. სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობა სარგებლობს ბიბლიოთეკაში არსებული მეთოდური ლიტერატურით. მათ სახელზე გახსნილი ფორმულარებით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები კარგად იცნობენ და იყენებენ სკოლაში არსებულ ლიტერატურას. იგივე ითქმის შილდის 1-ლ (დირექტორი თ. თევდორაშვილი) და ყვარლის მე-2 (დირექტორი ნ. ღლონტი) საშუალო სკოლებზე. გაკვეთილის ჩატარების ხარისხის ამაღლებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით მასწავლებელთა მიერ მეთოდური, დიდაქტიკური და სხვა დამხმარე ლიტერატურის გამოყენების საკითხები პედსაბჭოს მსჯელობის საგნადაც ქონიათ ქცეული. ასე, მაგალითად, სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგებზე; მე-6 კლასის მასწავლებელს მ. ძიგრაშვილს მიეთითა, რომ იგი არ სარგებლობს სწავლებისათვის არსებული მეთოდიკით და მიეცა რჩევა, თუ რომელი კონკრეტული ლიტერატურით ისარგებლოს.

მოსაწონია იმ სკოლების ბიბლიოთეკართა მუშაობა, სადაც ახლადგამოსული მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურის მასწავლებელთათვის დროულად გაცნობის მიზნით, სამასწავლებლოებსა და ბიბლიოთეკებში მოწყობილია მეთოდური კუთხეები, სტელაჟები. სტენდები კარგად აქვთ მოწყობილი ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ჩიკაშუა), სოფელ შუხუთის (დირექტორი ა. იმნაიშვილი), სოფელ ჯურყვეთის (დირექტორი ა. ანთაძე), თეთრიწყაროს ქართული (დირექტორი ქ. ცხვედიანი), ქარელის რაიონის მე-2 (დირექტორი მ. ჭანიშვილი) საშუალო სკოლებში.

ლანჩხუთის მე-2 საშუალო სკოლაში 1981 წლის 24 აპრილს მოეწყო ქართული ენისა, ხოლო სოფელ ჯურყვეთის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლების პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება თემაზე: „არსებულ სიახლეთა გამოყენების ხერხები და მეთოდები უახლესი მეთოდური ლიტერატურის მიხედვით“.

ამავე დროს, შემოწმებული რაიონების სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მიერ გაწეული მუშაობა სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების, მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურის მიღებისა და გამოყენების მიზნით ხასიათდება მთელი რიგი ნაკლოვანებებით.

სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლის ხელმძღვანელთა ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო როგორც დადგენილებების, ასევე ინსტრუქციების განხილვა-გაცნობა. ასე, მაგალითად, ახალციხის რაიონის (გამგე ე. კოპაძე, მეთოდისტი შ. ზედგენიძე) მუს-

რის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარი ა. ინასარიძე არ იცნობს „ინსტ-
ტიისა და მთავრობის დადგენილებებსა და ინსტრუქციას „სასკოლო
სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების,
მათი სარგებლობის წესისა და ლიტერატურის დაცვის ღონისძიებათა
შესახებ". ამის შედეგია ის, რომ ზემოაღნიშნულ სკოლაში სასკოლო
სახელმძღვანელოების მოვლა-დაცვის საქმე ჯერ-ჯერობით სათანადო
სიმაღლეზე ვერ დგას. მსგავსი მდგომარეობაა, აგრეთვე, ამავე რაიო-
ნის სხვა სკოლებშიაც: ახალციხის მე-3 რუსულ (დირექტორი ნ. ჯინ-
ჭველიძე, ბიბლიოთეკარი დ. მურადოვი), ახალციხის მე-3 სომხურ
(დირექტორი ა. კარგაშჩიანი, ბიბლიოთეკარი ს. პეტროსიანი), სხვი-
ლისის სომხურ (დირექტორი ლ. მათევოსიანი, ბიბლიოთეკარი ა. მოვ-
სესიანი), ვალეს მე-2 რუსულ (დირექტორი ზ. ნათენაძე, ბიბლიოთეკა-
რი ნ.გოგოლაური) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და ურავლის
რვაწლიან (დირექტორი გ. ჯაოშვილი, ბიბლიოთეკარი გ. სვანიძე) სკო-
ლებში.

ამ სკოლებში ფონდირებული სახელმძღვანელოებისათვის გამო-
ყოფილი არ არის სტელაჟები. არ ხდება ფონდირებული სახელმძღვანე-
ლოების აღრიცხვა, უქმადაა საინვენტარო წიგნები, საბიბლიოთეკო
ფონდების აღრიცხვის ჟურნალები და საკატალოგო ბარათები. ამ რაი-
ონის არც ერთ სკოლაში არ არის წიგნის შემკეთებელთა წრე. სწორედ
ამის გამო წიგნები ვადაზე ადრე გამოდის მწყობრიდან. თითქმის იგი-
ვე სურათია ასპინძის რაიონის (გამგე დ. ზედგენიძე, მეთოდისტი ა. გვა-
რამიძე) სოფელ ტოლოშის (დირექტორი ი. ზედგენიძე), თმოგვის
(დირექტორი დ. ზაზაძე) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკო-
ლებში. ამ სკოლებში წიგნის მოვლას სათანადო ყურადღებას არ აქ-
ცევენ. განსაკუთრებით არასახარბიელოდაა მოვლილი 1-ლი და მე-2
კლასის სახელმძღვანელოები. წიგნები გადაუკრავი, ყდამოცლილი და
შეუკეთებელია. არ არის შევსებული წიგნის ბოლოს მოცემული სპე-
ციალური სვეტი, რომელიც მიუთითებს წიგნის მფლობელის გვარზე.
კლასის ხელმძღვანელები ნიშანზე არ აფასებენ მოსწავლეებს წიგნის
მოვლისათვის. არ არსებობს არავითარი დაინტერესება, არ ტარდება
შეჯიბრება-კონკურსები, წახალისება და ა. შ.

ცუდი მდგომარეობაა, აგრეთვე, ბოგდანოვკის რაიონის (გამგე
ს. ჯაგაცპანიანი, მეთოდისტი გ. ეპრიკიანი) ეშტიის მე-2 საშუალო
(დირექტორი ნ. სიმონიანი) და ბოგდანოვკის რუსულ საშუალო სკო-
ლაში (დირექტორი ი. მანუკიანი). აქაც ისევე, როგორც ზემოხსენე-
ულ რაიონებში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებებისა: სკოლებ-
ში არაა ფონდირებული სახელმძღვანელოების სავალდებულო რეზერ-
ვი 5%-ის რაოდენობით, რაც განსაკუთრებული სიმწვავით იჩენს თავს
სასაზღვრო რაიონის სკოლებში, სადაც მოსწავლეთა კონტინგენტი
ცვალებადია. ბოგდანოვკის რუსულ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა
ერთ ნაწილს არ გააჩნია სახელმძღვანელოები. ეს იმის მიზეზია, რომ

ნახმარი სახელმძღვანელოების შეგროვება და აღრიცხვა ამ სკოლებში დაბალ დონეზე დგას. სკოლის პედკოლექტივს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ საკითხზე არსებულ ინსტრუქციაზე. ეშტიის მე-2 საშუალო სკოლაში კი წიგნები იმდენადაა დახეული, რომ მდგომარეობა სავალალოა.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისა და მათ მოვლა-დაცვასთან დაკავშირებით: გურჯაანის რაიონის (გამგე გ. ლუაშვილი, მეთოდისტი თ. ხარიტონაშვილი), ჩუმლაყის (დირექტორი ნ. ოთარაშვილი, ბიბლიოთეკარი მ. ეგიაზაროვა), გურჯაანის მე-3 (დირექტორი ი. ჯიკაიძე, ბიბლიოთეკარი ე. შეყილაძე), ლაგოდეხის რაიონის (გამგე ე. ხმალაძე, მეთოდისტი ც. ბუზალაძე), ნინიგორის (დირექტორი ვ. კობაძე, ბიბლიოთეკარი ლ. კოპალიანი) საშუალო სკოლებში.

ზემოაღნიშნულ სკოლებში წიგნები მოუვლელი, ფურცლებამოცვენილი და შეუკეთებელია. არ ფუნქციონირებს დაზიანებული წიგნების შემკეთებელი „დამხმარე ეკიპაჟი" მოსწავლეთა აქტივიდან. არ ტარდება შინასასკოლო კონკურსები, წიგნის გამოფენები. არ იგრძნობა მოსწავლეთა დაინტერესება სახელმძღვანელოთა მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით. ხმარებისათვის თითქმის უვარგისია 1-ლი კლასის რუსული ენის და მათემატიკის სახელმძღვანელოები. ფონდირებული სახელმძღვანელოებისათვის არ არის გამოყოფილი ფართი ბიბლიოთეკის წიგნადი საერთო ფონდისაგან განცალკევებით, არა აქვთ სტელაჟები. გურჯაანის მე-3 და ამავე რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლებში ფონდირებული სახელმძღვანელოები იატაკზეა დაწყობილი, ფონდირებულ სახელმძღვანელოებზე არსებული დოკუმენტაცია სწორად არ არის წარმოებული: ჩუმლაყის საშუალო სკოლის დირექტორს სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში შეტანილი არ ქონდა არც ერთი საკითხი ფონდირებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ვანის რაიონის (გამგე ა. ენუქიძე, მეთოდისტი თ. გოგორიშვილი) და მაიაკოვსკის რაიონის (გამგე გ. თავხელიძე, მეთოდისტი მ. გორგოძე) სახალხო განათლების განყოფილებები სერიოზულად მოეკიდნენ სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის საქმეს, მაინც შეინიშნება ხარვეზები მათ მუშაობაში. ასე, მაგალითად, ვანის რაიონის ზედავანის საშუალო სკოლაში (დირექტორი ც. მხეიძე, ბიბლიოთეკარი ლ. ჩახუნაშვილი) 1-ლ, მე-2, მე-3 კლასებში ყდებშემოხეული და ფურცლებამოცვენილია სახელმძღვანელოები, ხოლო სახელმძღვანელოების ბოლოს მოცემული სპეციალური სვეტი შეუვსებელია.

მე-7 კლასის (კლ. ხელმძღვანელი ი. მებურიშვილი) მოსწავლეები მთლიანად არ არიან უზრუნველყოფილნი ახალი სახელმძღვანელოებით. ამ კლასის 15 მოსწავლეზე რაიონის მეთოდისტის მიერ განაწილებულია 15 ც. მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელო, მაგრამ

მიუხედავად ამისა, 7 მოსწავლე უწიგნოდაა დარჩენილი. ასევე 15 მოსწავლეზეა განაწილებული ქართული ენის გრამატიკა, კლასში ეს წიგნი 6 მოსწავლეს არ აქვს. ოთხნიშნა მათემატიკური ცხრილები არ აქვს 4 მოსწავლეს.

სახელმძღვანელოების მოვლის მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა, აგრეთვე, შუაგორას (დირექტორი ე. ქარციძე, ბიბლიოთეკარი ნ. ადეიშვილი) და კიროვის (დირექტორი ნ. სანიკიძე, ბიბლიოთეკარი გ. ქარჩხაძე) საშუალო სკოლებში.

სახელმძღვანელოთა მოვლის საქმე მაიაკოვსკის რაიონის ფერსათის მე-2 საშუალო სკოლაშიც (დირექტორი ნ. ბუხულეიშვილი, ბიბლიოთეკარი ც. არშილავა) არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. მოუვლელია 1-ლი (კლ. ხელმძღვანელი ც. აბულაძე), მე-2 (კლ. ხელმძღვანელი მ. გარუჩავა) და მე-3 (კლ. ხელმძღვანელი მ. გრძელიძე) კლასების სახელმძღვანელოები. წიგნები არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით. სკოლაში არავითარი ღონისძიება არ ტარდება მოსწავლეებში სახელმძღვანელოებისადმი სათუთი დამოკიდებულების აღზრდის თვალსაზრისით.

რაც შეეხება მაღალმთიან რაიონებს — მესტიასა (გამგე ა. ჩხვიმიანი, მეთოდისტი ნ. გუჯეჯიანი) და ლენტეხს (გამგე ი. ჩანქსელიანი, მეთოდისტი ნ. ლიპარტელიანი), ზოგიერთი სკოლის მუშაობაში აღინიშნება ცალკეული ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრისათვის და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მეთოდკაბინეტის თანამშრომლებმა აღმოუჩინეს პრაქტიკული დახმარება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველწლიურად იზრდება ფონდირებული სახელმძღვანელოების რიცხვი, მათი მოვლა-დაცვის მიზნით მესტიის მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. პაველიანი, ბიბლიოთეკარი ნ. ჯაფარიძე) დროა იფიქრონ ბიბლიოთეკის გაფართოებაზე.

სახელმძღვანელოთა შეგროვება-აღრიცხვასა და მოვლას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მესტიის რაიონის ლენჯერის რვაწლიან (დირექტორი ბ. შუკვანი, ბიბლიოთეკარი მ. მერდანი), ლატალის საშუალო (დირექტორი ც. ხვინთელანი, ბიბლიოთეკარი ლ. კვიციანი), ლენტეხის რაიონის რცხმელურის საშუალო (დირექტორი ი. გაზდელიანი, ბიბლიოთეკარი ც. ტვილდიანი) და ხოფურის რვაწლიან (დირექტორი მ. ლიპარტელიანი, ბიბლიოთეკარი მ. ქურასბედიანი) სკოლებში.

უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მნიშვნელოვან საქმეს თეთრიწყაროს რაიონის (გამგე ლ. ჯინჯიხაძე, მეთოდისტი მ. გიგაური) პატარა ირაგის (დირექტორი ცანდეკოვა, ბიბლიოთეკარი ალიხანიდი), ბოგვის (დირექტორი თ. ამურველაშვილი, ბიბლიოთეკარი ნ. ავგაროზაშვილი) თეთრიწყაროს რუსული (დირექტორი ლ. მჭედლიშვილი, ბიბლიოთეკარი ნ. სერემიანი) და ქარელის რაიონის (გამგე ვ. ბაქრაძე, მეთოდისტი ა. ბააზოვა) 1-ლი (დირექტორი ჯ. სანებლიძე, ბიბლიოთეკარი მლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშვილი), აგარის (დირექტორი მიქელაძე, ბიბლიოთეკარი ოსტრომოვი) საშუალო სკოლები.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზემოხსენებულ სკოლებში არ ხდება მწყობრიდან გამოსული ფონდირებული სახელმძღვანელოების შეკეთება. არც ერთ სკოლაში არ არის ჩამოყალიბებული წიგნის შემკეთებელთა წრეები. ფონდირებული სახელმძღვანელოებისათვის არ არის ცალკე გამოყოფილი ფართი. სახელმძღვანელოებზე არაა დასმული თეგი, რომელიც მოსწავლეს მოაგონებს, რომ სახელმძღვანელო ბიბლიოთეკისაა და მას მეტი გაფრთხილება სჭირდება, როგორც სახელმწიფო საკუთრებას. მოსწავლეებმა არ იციან წიგნის მოვლა-დაცვის ელემენტარული წესები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელოები „ცეკავშირის" ხაზით რესპუბლიკის სკოლებში დიდი დაგვიანებით და დაწესებულზე ნაკლები რაოდენობით შედის. მაგალითად, ამბროლაურის რაიონს შემოწმების დღისათვის არ ქონდა მიღებული მე-8 კლასის ალგებრის და გეომეტრიის სახელმძღვანელოები, ახალციხის რაიონს მე-7 კლასის სსრკ ფიზიკური გეოგრაფია, მე-6 კლასის კონტინენტების გეოგრაფია, მე-8 კლასის ქიმიის ამოცანათა კრებული. ქარელის რაიონს მე-4 კლასის გერმანული, მე-6, მე-7 კლასების გეოგრაფია. ცხაკაიას რაიონმა ასევე ნაკლები რაოდენობით მიიღო „ცეკავშირიდან" 1289 ცალი წიგნი და ა. შ.

გარდა ამისა, ცალკეული რაიონების მეთოდისტების სუსტ მუშაობად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ზუსტად ვერ საზღვრავენ მოსწავლეთა კონტინგენტს, რის გამოც სასწავლო წლის დასაწყისში დამატებით ითხოვენ სახელმძღვანელოებს იმ არგუმენტის მოშველიებით, თითქოს მათ რაიონში იმატა მოსწავლეთა რაოდენობამ, გაიხსნა ახალი კლასები და ა. შ. ასე, მაგალითად, ამბროლაურის რაიონმა დამატებით მოითხოვა მოსამზადებელი კლასისათვის განკუთვნილი 40 ცალი „დედაენა" და მათემატიკა, ახალციხის რაიონმა 1-ლი კლასისა და მე-7 კლასის ქართული ენა 20 ც., მე-5 კლასის ქართული ენა 60 ც., მე-6 კლასის ქართული ენა 60 ც., და ა. შ. დამატებით გამოყოფილი სახელმძღვანელოების რაოდენობამ ქართული სკოლებისათვის 33639 ცალს გადააჭარბა.

ასევე, სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მეთოდური, დიდაქტიკური და სხვა დამხმარე ლიტერატურის მასწავლებლებამდე დაყვანის, მათი პრაქტიკულად გამოყენების უზრუნველსაყოფად წარმოებული მუშაობა. კარგია, რომ საკმაო რაოდენობითაა მიღებული სკოლებში რუსულ ენაზე გამოცემული მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ქართულ ენაზე თარგმნილ ან ორიგინალურ ქართულ მეთოდურ ლიტერატურაზე. ეს უკანასკნელი კი იწვევს ქართული სკოლების იმ მასწავლებელთა სამართლიან პრეტენზიებს, რომლებიც სუსტად ფლობენ რუსულ ენას,

მეორეს მხრივ, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ არც ერთ შემოწმებულ რაიონში არ არსებობს მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურის მიზნობრივი გამოყენებისათვის გაშლილი საქმიანობის ერთიანი დახვეწილი სისტემა. იმ შემთხვევაშიც, როდესაც რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების, ან მასთან არსებული მეთოდკაბინეტის სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია ამ საქმესთან დაკავშირებული საკითხები, განათლების განყოფილების საბჭოს სხდომებზეც არის განხილული არსებული მდგომარეობა, კმაყოფილდებიან მხოლოდ საკითხის განხილვით და არსად არ აქვთ გატარებული ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ასახვას უნდა პოულობდნენ ამავე რაიონის მეთოდკაბინეტის, სკოლების წლიურ სამუშაო გეგმებში, მთელი პედაგოგიური კოლექტივების მუშაობასა და შესრულებულ სამუშაოთა მასალებში. უფრო მეტიც, რიგ განათლების განყოფილებებს იმდენად დაბალ დონემდე დაჰყავთ მეთოდური, დიდაქტიკური და სხვა დამხმარე ლიტერატურის თითოეულ პედაგოგამდე დაყვანისა და მისი მიზნობრივად გამოყენების საკითხები, რომ საჭიროდაც კი არ მიაჩნიათ სამუშაო გეგმებში მათი გათვალისწინება და განათლების საბჭოს სხდომაზე სამსჯელოდ გატანა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელწყაროს, ვანის, ქარელის, ჩოხატაურის და ლაგოდეხის რაიონების ცუდი მუშაობა.

წითელწყაროს, ქარელის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის რაიონებში განათლების განყოფილებები სკოლების კომპლექსური და თემატური შემოწმების დროს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მასწავლებელთა მიერ მეთოდური ლიტერატურის გამოყენების მდგომარეობის შესწავლას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ არის განხილული და არ ანალიზდება ცალკეული საგნის სწავლების დროს მეთოდური, დიდაქტიკური და სხვა დამხმარე ლიტერატურის გამოყენების მდგომარეობაც, ან ის, თუ რა პრაქტიკული შედეგი მოუტანა მასწავლებელს ამა თუ იმ საგანში გამოცემულმა მეთოდურმა ლიტერატურამ, როგორ შეუწყო ხელი მოსწავლეთა ცოდნის ამაღლების საქმეში მეთოდური ლიტერატურის უნარიანმა გამოყენებამ და სხვ. ამ თვალსაზრისით პედაგოგიური საბჭოების მუშაობაში არასახარბიელო მდგომარეობაა წითელწყაროს 1-ლ (დირექტორი შ. ქადაგიძე), სოფელ არბოშიკის (დირექტორი ნ. ბოსტოღანაშვილი), ლაგოდეხის მე-3 (დირექტორი შ. ჯინჭარაძე), ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის (დირექტორი მ. ჩიგოგიძე), სოფელ საჭამიასერის (დირექტორი ი. ქორიძე), ქარელის (დირექტორი ჯ. სანებლიძე) საშუალო სკოლებში.

წითელწყაროს, ვანის, ქარელის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების წლიურ სამუშაო გეგმებში შეტანილი არ არის მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურის თითოეულ მასწავლებლამდე დაყვანისა და გამოყენების საკითხები. სკოლების დირექტორებმა და მათი მოადგილეების მიერ

ქ. თბილისის სახ. საბ. ბიბ. სახელმწიფო

ცალკეულ საგნებში მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებში არ ჩანს მასწავლებლის მიერ მეთოდური, დიდაქტიკური ლიტერატურისა და სხვა დამხმარე მასალების გამოყენების ავ-კარგი. ამიტომ, სკოლის დირექტორებისა და მათი მოადგილეების ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მეთოდურ მუშაობაზე შესუსტებულია და ფორმალურ ხასიათს ატარებს. მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები წარმოადგენენ გაკვეთილის მსვლელობის უბრალო აღწერას. მათში არ ჩანს მასწავლებლის მიერ მეთოდური, დიდაქტიკური და სხვა დამხმარე ლიტერატურის გამოყენების მდგომარეობა. ასეთი ვითარებაა წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის (დირექტორი შ. ქადაგიძე) საშუალო სკოლაში. ამავე რაიონის სკოლებში არ არსებობს ახლადგამოცემული მეთოდური და დიდაქიტკური ლიტერატურის მასწავლებლებამდე დაყვანისა და მისი გამოყენების ერთიანი სისტემა. არ ეწყობა ამ საკითხებთან დაკავშირებით შინასასკოლო პედაგოგიური კითხვები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურის ავტორებთან შეხვედრები, მოწინავე გამოცდილებათა განზოგადება, შემოქმედ მასწავლებლებთან შეხვედრები, არ ტარდება მეთოდურ-დიდაქტიკური ლიტერატურის გამოფენის განხილვები და სხვა.

ფორმალიზმით ხასიათდება სასკოლათაშორისო და შინასასკოლო მეთოდგაერთიანებათა მუშაობა. მათ წლიურ სამუშაო გეგმაში არ არის გათვალისწინებული ახალი მეოოდური, დიდაქტიკური ლიტერატურის განხილვა-შესწავლა, მოწინავე მასწავლებელთა მიერ ამ ლიტერატურის გამოყენების შედეგად მოპოვებული დადებითი გამოცდილების განზოგადება, სუსტია დახმარება და კონტროლი მასწავლებელთა თვითგანათლებაზე, რის გამოც დასახელებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იცნობს ახალ მეთოდურ ლიტერატურას, სუსტადფლობს საგნის სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, არ კითხულობს მეთოდურ რეკომენდაციებს, მეცნიერულ ლიტერატურას, არ იმაღლებს საკუთარი პროფესიული მომზადების დონეს და ოდესღაც მიღებული ცოდნით კმაყოფილდება. ასე, მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ა. სხირტლაძე) ფიზიკის მასწავლებელი ლ. კოკილაშვილი, დაწყებითი კლასების მასწავლებელი ც. ზარნაძე არ იცნობენ სკოლაში დაცულ მეთოდურ ლიტერატურას. ასევე არ იცნობენ მეთოდურ ლიტერატურას ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ჯინჭარაძე) დაწყებითი კლასების მასწავლებელი ე. თიგიშვილი, მათემატიკის მასწავლებელი ნ. ნოზაძე, ჩოხატაურის რაიონის კოხნარის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ჩიგოგიძე) ფიზიკის მასწავლებელი ზ. ჩოხოღლი, წითელწყაროს რაიონის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. გუგუნაშვილი, სოფელ ზემო ქედის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. ჩოხელი, არხილოსკალოს საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. ხითარიშვილი, ქიმიის მასწავლებელი მ. ჭი-

ბაშვილი, ქ. თბილისის 84-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ბ. მესხი) ქიმიის მასწავლებელი ნ. ასათიანი, რუსული ენის მასწავლებელი ა. ...შიძე, 144-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ი. ახალაია) მათემატიკის მასწავლებელი რ. ზარაპნიშვილი, ფ. ბუტიკაშვილი, ქართული ენის მასწავლებელი ი. დავითაშვილი, მათემატიკის მასწავლებელი გ. სიხარულიძე.

ნაკლოვანებების დაძლევა-აღმოფხვრის მიზნით განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაკებს მეთოდისტებმა ადგილზე გაუწიეს პრაქტიკული დახმარება, დასახეს საჭირო ღონისძიებები.

სახელმძღვანელოების სამმართველო

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. დ. ჟინჟლაძე
„4 თებერვალი, 1982 წელი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს დებულება

სახელმძღვანელოების სამმართველო შექმნილია „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადაყვანის შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 თებერვლის № 126 (მ. 7.) დადგენილების საფუძველზე.

სამმართველო მუშაობაში ხელმძღვანელობს პარტიისა და მთავრობის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით სახალხო განათლების საკითხებზე, სსრკ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების ბრძანებებით, ინსტრუქციებით, მითითებებითა და განკარგულებებით.

სამმართველოს მიზანია რესპუბლიკაში ყველა ენაზე მომუშავე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა ორგანიზაციის უზრუნველყოფა ორიგინალური თუ უნიფიცირებული სახელმძღვანელოებით, დიდაქტიკური მასალებით, მეთოდური და სხვა სასწავლო-პედაგოგიკური ლიტერატურით. სამმართველო ხელმძღვანელობს და წარმართავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიბლიოთეკების მუშაობას მოზარდი თაობის იდეურ-ზნეობრივი და პოლიტიკური აღზრდის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე უზრუნველყოფისათვის.

სახელმძღვანელოების სამმართველოს ფუნქციები

სახელმძღვანელოების სამმართველო:

1. უზრუნველყოფს პროგრამების სრული შესაბამისობით ორიგინალური სახელმძღვანელოების, დიდაქტიკური, სასწავლო-პედაგოგიკური და მეთოდიკური ლიტერატურის შექმნას, გამოცდილი, მაღალკვალიფიციური ავტორებისა და მთარგმნელების შემოკრებას, უნიფიცირებული სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნას, მათს რეცენზირებას, სათანადო რეკომენდაციების მიღებისათვის საგნობრივ სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოებზე განხილვასა და განათლების სამინისტროს კოლეგიაზე დასამტკიცებლად წარდგენას.

2. სტამბური ან როტოპრინტის წესით გასამრავლებლად ღებულობს განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანი-

ზაციების მიერ მომზადებულსა და სამინისტროს კოლეგიაზე უკვე დამტკიცებულ პროგრამებს, აგრეთვე სხვა სახის დამხმარე მეთოდურ ლიტერატურას სასწავლო დისციპლინების მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მეთოდური ცენტრების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და დარგობრივი მეთოდური კაბინეტების მიერ წარმოდგენილ მასალას სახელმძღვანელოების სამმართველო დასასტამბად ღებულობს მხოლოდ დაქვემდებარების თვალსაზრისით შესაბამისი სამმართველოების ვიზებისა და საგნობრივი სამეცნიერო-მეთოდური საბჭოების რეკომენდაციების წარმოდგენის საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ გამსახკომის გამომცემლობების „განათლება", „ალაშარა" და „ირისთონი" მეშვეობით უზრუნველყოფს ორიგინალური და გადმოქართულებული უნიფიცირებული სახელმძღვანელოების, პროგრამების, დიდაქტიკური, სასწავლო-პედაგოგიკური და მეთოდური ლიტერატურის დროულ და მაღალმხატვრულ-პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემას.

სამმართველო კონტროლს აწესებს გამომცემლობებსა და სტამბებში გამოსაცემად გაგზავნილი ორიგინალების მოძრაობაზე და არსებითი ხასიათის დარღვევის ან შეფერხების შემთხვევაში სათანადო რეაგირებისათვის ინფორმაციას აწვდის განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ გამსახკომის ხელმძღვანელობას ოპერატიული რეაგირების უზრუნველყოფისათვის.

4. საქართველოს სსრ გამსახკომთან შეთანხმებით:

4. 1. ამუშავებს სახელმძღვანელოების, სასწავლო-პედაგოგიკური და მეთოდური ლიტერატურის გამოცემის პერსპექტიულ გეგმას;

4. 2. პერსპექტიული გეგმის საფუძველზე ყოველწლიურად შეიმუშავებს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას დასამტკიცებლად წარუდგენს გამოსაცემი სახელმძღვანელოების, სასწავლო-პედაგოგიკური და მეთოდური ლიტერატურის სიებს;

4. 3. კოლეგიაზე დამტკიცებული სიების საფუძველზე შედგენილ შეკვეთის ბლანკს, ტირაჟების ზუსტად განსაზღვრის მიზნით, სსრკ განათლების სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკებიდან სახელმძღვანელოების სიებთან ერთად უგზავნის რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს.

შემოსული დაკვეთების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-პედაგოგიკური ლიტერატურის ტირაჟებს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ გამსახკომის კოლეგიებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სახელმძღვანელოებზე ტირაჟების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, აგრეთვე, იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ცხოვრობენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე და სწავლობენ ქართულ ენაზე; ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნას რკინიგზის სკოლების, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალ-

ლური სასწავლო დაწესებულებების, პედინსტიტუტების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების და მათთან არსებული მოსამზადებელი განყოფილებების მოთხოვნები.

4. 4. აწარმოებს სსრკ განათლების სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციებთან შეკვეთების გაფორმებას რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების და განათლების ადგილობრივი ორგანოებისათვის საჭირო სახელმძღვანელოებსა და სასწავლო-პედაგოგიკურ ლიტერატურაზე; ახდენს მათ განაწილებას და აწესებს კონტროლს მიწოდებაზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სახელმძღვანელოსა და სასწავლო-პედაგოგიკურ ლიტერატურაზე შეკვეთის გაფორმების ვადები განისაზღვრება ინსტრუქციით „სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების, მათი სარგებლობის წესისა და ლიტერატურის დაცვის ღონისძიებათა შესახებ“.

5. ახორციელებს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბიბლიოთეკო მუშაობას მოზარდი თაობის იდეურ-ზნეობრივი და პოლიტიკური აღზრდის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვისათვის, ხელს უწყობს ამ მიმართულებით ადგილებზე წარმოებული საქმიანობის აქტივიზაციას, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ დახვეწას, სკოლებში ბიბლიოთეკის ავტორიტეტის ამაღლებას მოსწავლეებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის შესაძლებლობათა ინტენსიური გამოყენების ფარგლებში.

6. ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის, განახლებისა და დაცვის საქმეს, შეიმუშავებს საინსტრუქციო-მეთოდურ წერილებს ამ მიმართებით.

7. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ანაწილებს სახელმძღვანელოებს, მეთოდურ, მხატვრულ ლიტერატურას თუ სხვა ნაბეჭდ პროდუქციას და აკონტროლებს ადგილებზე მათ დროულ მიწოდებას „საქწიგნის“, „ცეკავშირისა“ და სასკოლო ბიბლიოლექტორის ხაზით.

8. აწესებს კონტროლს სასკოლო-საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტების მუშაობაზე, უწევს მათ საჭირო მეთოდურ დახმარებას, აწყობს მათთან თათბირებს, სემინარებს და ხელმძღვანელობს მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

9. დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ზრუნავს რესპუბლიკის მოსწავლეების, პედაგოგიური კოლექტივებისა და მოსწავლეთა მშობლების პასუხისმგებლობის ამაღლებაზე სასკოლო სახელმძღვანელოების სწორი, რაციონალური გამოყენებისა და სახელმძღვანელოებისადმი სათუთი დამოკიდებულების უზრუნველყოფის საქმეზე, ამ მიზნით შეიმუშავებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ადგილებზე აგზავნის საინსტრუქციო წერილებსა და მეთოდურ რეკომენდაციებს.

10. აწესებს კონტროლს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობაზე, სასკოლო ბიბლიოთეკებში სამეცნიერო-პედაგოგიკური, მეთოდიკური და მხატვრული ლიტერატურის ფონდების შექმნის, მოვლის, განახლების და მიზნობრივი სარგებლობის უზრუნველყოფაზე.

11. სკოლების სამმართველოსთან ერთად ადგენს მოსწავლეთა დღიურებისა და რვეულების საგნობრივ ნიმუშებს, განსაზღვრავს ტირაჟებს და აწესებს კონტროლს მათ დროულ გამოცემაზე.

12. შეიმუშავებს წინადადებებს სსრკ სახელმწიფო და რესპუბლიკურ პრემიებზე სახელმძღვანელოების არსებული წესით წარდგენის შესახებ", შეარჩევს სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარსადგენად იმ საუკეთესო სასწავლო-მეთოდიკურ ლიტერატურას, რომელსაც გამოსცემენ გამომცემლობები „განათლება", „ალაშარა" და „ირისთონი".

13. „საქწიგნის" საშუალებით აფორმებს შეკვეთებს საკავშირო ფირმა „მელოდიის" თბილისის გრამჩამწერ სტუდიასთან სახელმძღვანელოთა ხმოვან დანამატებზე (დრეკადი ფირფიტები) და აწესებს კონტროლს მათ განაწილება-გავრცელებაზე.

14. სახელმძღვანელოების სამმართველო ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელობასა და კონტროლს:

14. 1. ორიგინალური სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებისა და სხვა სასწავლო-პედაგოგიკური ლიტერატურის შექმნისა და გამოცემის საქმეზე;

14. 2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბიბლიოთეკო მუშაობაზე;

14. 3. სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მუშაობაზე;

14. 4. ი. გოგებაშვილის სახ. სახალხო განათლების სახელმწიფო სამეცნიერო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მუშაობაზე;

14. 5. განათლების სამინისტროს სასკოლო საბიბლიოთეკო კოლექტორის მუშაობაზე;

14. 6. განათლების სამინისტროს სტამბის მუშაობაზე.

სამმართველოს სტრუქტურა

15. სახელმძღვანელოების სამმართველო წარმოადგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატის სტრუქტურულ რგოლს, რომელიც ექვემდებარება განათლების მინისტრის მოადგილეს.

16. სახელმძღვანელოების სამმართველო დაკომპლექტებულია სამმართველოს უფროსის, სამმართველოს უფროსის მოადგილის, მთავარი ინსპექტორის, უფროსი ინსპექტორ-მეთოდისტების საშტატო განრიგით დამტკიცებული ერთეულებისაგან.

16. 1. სამმართველოს უფროსი ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას სამმართველოს აპარატის მუშაობაზე, წარმართავს მის საქმიანობას ამ დებულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების უზრუნველყოფისათვის, აწესებს კონტროლს სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებების, დადგენილებების, ბრძანებებისა და დავალებების შესრულებაზე, პირადად იხილავს აპარატში და დაქვემდებარებულ დაწესებულებებში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, აგრეთვე მუშაკთა განთავისუფლების საკითხებს და თავის მოსაზრებებს გადასაწყვეტად წარუდგენს სამინისტროს ხელმძღვანელობას; განაგებს სახელმძღვანელოების, სასწავლო-პედაგოგიკური, მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურის შექმნისა და გამოცემის პერსპექტიული თუ წლიური გეგმების შედგენისა და კოლეგიაზე დასამტკიცებლად წარდგენის საკითხებს; უშუალოდ ახორციელებს კონტროლს განათლების სამინისტროს სტამბის მუშაობაზე; ახორციელებს კავშირურთიერთობას საქართველოს სსრ გამსახკომთან, გამომცემლობებთან, სტამბებთან, წიგნით ვაჭრობის დაწესებულებებთან, უწყებრივი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციებთან.

16. 2. სამმართველოს უფროსის მოადგილე ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის, განახლებისა და დაცვის საქმეს, საინსტრუქციო-მეთოდურ წერილებზე მუშაობას, სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტისა და ი. გოგებაშვილის სახ. სახალხო განათლების სახელმწიფო სამეცნიერო-პედაგოგიური ბიბლიოთეკის მუშაობას, საგნობრივი რვეულების, კლასიდან კლასში გადასაყვანი საგამოცდო ბილეთების ბეჭდვის საქმეს, წელიწადში ერთხელ ზონის ინსპექტორებიდან ღებულობს და აჯამებს რესპუბლიკის მასშტაბით მიღებულ სათანადო ცნობებს საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ და შესაბამის ინფორმაციას აწვდის სამინისტროს ხელმძღვანელობას, ანაწილებს მიმდინარე სამუშაოს სამმართველოს მუშაკებს შორის.

16. 3. მთავარი ინსპექტორი ხელმძღვანელობს ორიგინალური სახელმძღვანელოების, სასწავლო-პედაგოგიკური, მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურის შემქმნელ ავტორთა კოლექტივებთან მუშაობას, სახელმძღვანელოს შექმნის პერიოდში ამყარებს კავშირს ავტორს, მხატვარსა და გამომცემლობას შორის, ხოლო უნიფიცირებული სახელმძღვანელოს გადმოქართულების დროს მთარგმნელსა და გამომცემლობის შესაბამის რედაქციას შორის. ამ მიზნით მთავარი ინსპექტორი ხელმძღვანელობს, აგრეთვე, საგნის მეთოდისტების საქმიანობას.

იგი ასრულებს, აგრეთვე, სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ აპარატის მუშაკთათვის, კერძოდ, მთავარი ინსპექტორისათვის დამტკიცებულ ინდივიდუალურ ფუნქციებს.

16. 4. უფროსი ინსპექტორი გამოყოფილი ზონის სკოლებში ხელ-

მძღვანელობს ბიბლიოთეკების მუშაობას, იდეურ-ზნეობრივი და პატრიოტიკური აღზრდის თანამედროვე დონეზე უზრუნველყოფისათვის, საბიბლიოთეკო ფონდების შევსების, განახლებისა და დაცვის საკითხებს. საბიბლიოთეკო ფონდების შევსებისა და მოვლა-პატრონობის შესახებ წელიწადში ერთხელ ზონის ყველა სკოლიდან ღებულობს ცნობებს, აანალიზებს მათ და რესპუბლიკური მასშტაბით შეჯამებისათვის, სათანადო ინფორმაციას აწვდის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

უფროსი ინსპექტორი აფორმებს ხელშეკრულებას საკავშირო ფირმა „მელოდიას" თბილისის გრამჩამწერ სტუდიასთან სახელმძღვანელოთა ნმოვანი დამატებების (დრეკადი ფირფიტები) შესაძენად, ამ ფირფიტების კომპლექტებს ანაწილებს რაიონებზე და უზრუნველყოფს დანიშნულების ადგილებზე მათ შეუფერხებელ მიღებას.

იგი ახორციელებს უშუალო კონტროლს გამომცემლობების „განათლება", „ალაშარა" და „ირისთონის" მიერ განათლების სამინისტროს ხაზით გამოსაცემი ლიტერატურის ბეჭდვაზე, მათი ტირაჟების დროულად ჩაბარებასა და განათლების სამინისტროს სასკოლო ბიბლიოთეკოლექტორის მუშაობაზე და ასრულებს, აგრეთვე, სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ აპარატის მუშაკთათვის და, კერძოდ, უფროსი ინსპექტორისათვის დამტკიცებულ ინდივიდუალურ ფუნქციებს.

17. ინსპექტორ-მეთოდისტი სსრკ განათლების სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციებთან აფორმებს შეკვეთებს სახელმძღვანელოებზე და განსაზღვრავს მათი შესაძენი თანხის რაოდენობას; გამოყოფილი ზონის სკოლებში კურირებს საბიბლიოთეკო საქმეს, მისი ფონდების შევსების, განახლებისა და დაცვის საკითხებს. ამ საქმიანობის ირგვლივ, წელიწადში ერთხელ, ზონის ყველა სკოლიდან ღებულობს ცნობებს, აანალიზებს მათ და რესპუბლიკის მასშტაბით შესჯამებლად სათანადო ინფორმაციას აწვდის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ასრულებს, აგრეთვე, სამმართველოს ხელმძღვანელების მიერ აპარატის მუშაკთათვის და, კერძოდ, ინსპექტორ-მეთოდისტისათვის დამტკიცებულ ინდივიდუალურ ფუნქციას.

ПОСТАНОВЛЕНИЕ

БЮРО ЦК ЛКСМ ГРУЗИИ, КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР, КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР, ПРЕЗИДИУМА ДОБРОВОЛЬНОГО ПОЖАРНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

О проведении Республиканского дозора юных пожарных 4 февраля 1982 года

За последние годы значительно активизировалась работа юношеских добровольных пожарных дружин (ЮДПД), создаваемых в школах и дворцах и домах пионеров, клубах и других детских учреждениях, а также при ЖЭК-ах и домоуправлениях. Юные друзья пожарных проводят значительную работу по предупреждению пожаров. Участие в ЮДПД способствует воспитанию у ребят смелости, находчивости, дисциплинированности, бережного отношения к социалистической собственности, ориентирует школьников на овладение профессией пожарного.

В целях дальнейшей активизации работы юных пожарных и в соответствии с постановлением Секретариата ЦК ВЛКСМ, коллегии Министерства внутренних дел СССР, президиумов советов добровольных пожарных обществ союзных республик № 123/35 от 29 сентября 1981 года, Бюро ЦК ЛКСМ Грузии, коллегия Министерства просвещения ГССР, коллегия Министерства внутренних дел ГССР, Президиум добровольного пожарного общества Грузии постановляют:

1. Провести в 1982-1983 годах Республиканский дозор юных пожарных. Положение о Республиканском дозоре юных пожарных утвердить (приложение № 1).

2. Для руковорства игрой создать Республиканский штаб дозора. Состав штаба утвердить (приложение № 2).

3. В целях проведения Республиканского дозора юных пожарных на высоком организационном уровне:

коллективам комсомола, органам народного образования и внутренних дел, советам добровольных пожарных обществ республики образовать областные, городские и районные штабы по проведению игры;

комитетам комсомола, советам пионерских организаций обеспечить активное участие пионеров и школьников в дозоре, придать ему гласность, широко пропагандируя дозор на пионерских слетах, сборах и других мероприятиях, проводимых в ходе Всесоюзного марша пионерских отрядов;

отделам народного образования, педагогическим коллективам школ обеспечить помощь в работе юных друзей пожарных;

управлениям (отделам) пожарной охраны, советам добровольных пожарных обществ оказать помощь отделам народного образования, комитетам комсомола, советам пионерских организаций в обучении школьников по программе подготовки юношеских добровольных пожарных дружин, проведении противопожарных рейдов, прибретении для дружин юных пожарных технических средств пропаганды, противопожарной литературы, плакатов, открыток, принадлежностей для выпуска стенгазет, боевых листов, «молний», организовать проведение соревнований и тренировочных занятий по пожарно-прикладному спорту, представлять для этого спортивные базы и инвентарь, выделять специалистов, обеспечивать участников соревнований спортивной формой и спецодеждой.

4. Редакциям газет «Молодежь Грузии», «Ахалгазрда комунисти», «Сахалхо ганатлеба», «Норчи ленинели», журнала «Пионери» широко освещать ход Республиканского дозора юных пожарных,

5. Расходы, связанные с проведением дозора произвести за счет средств Госстраха, УПО МВД ГССР и ЦС ДПО Грузии. Смету расходов утвердить.

Секретарь ЦК ЛКСМ Грузии
И. Орджоникидзе

Зам. Министра внутренних дел
Е. Гветадзе

Министр просвещения ГССР
О. Кинкладзе

Председатель добровольного пожарного общества Грузии
Г. Мгеладзе

Приложение № 1

ПОЛОЖЕНИЕ

О Республиканском дозоре юных пожарных

Республиканский дозор юных пожарных проводится с целью активизации работы юношеских добровольных пожарных дружин (ЮДПД) и усиления воспитательной работы среди пионеров и школьников.

Основными задачами дозора являются:

— воспитание у детей чувства ответственности за сохранение социалистической собственности от огня;

— сокращение количества пожаров, происходящих от шалости детей с огнем, предотвращение детского травматизма при пожарах;

— создание новых дружин юных пожарных.

I. Участники и условия дозора

В республиканском дозоре юных пожарных участвуют юношеские добровольные пожарные дружины школ, дворцов и домов пионеров, клубов. ЖЭК-ов, домоуправлений, районные (городские) шбаты ЮДПД, проводящие агитационно-пропагандистскую работу.

Республиканский дозор юных пожарных проводится с 30 января 1982 года по 30 января 1983 года по восьми маршрутам.

Маршрут № 1 « «Школа» — проводится в учебный период года.

Объекты наблюдения: школа и ее территория.

Дозорные на маршруте выявляют нарушения правил пожарной безопасности, сообщают о них администрации школы, в пожарную охрану или совет ДПО, принимают участие в устранении этих нарушений, ведут борьбу с нарушителями правил пожарной безопасности, критикуют их в стенной печати и по школьному радиоузлу, выпускают стенные газеты, «молнии» боевые листки оборудуют уголки ЮДПД правилами пожарной безопасности, проводят викторины, выступления коллективов художественной самодеятельности, кукольные спектакли, выставки произведений самодеятельного изобразительного и декоративно-прикладного искусства, олимпиады, конкурсы рисунков на противопожарную тематику, ведут шефскую работу в младших классах.

Маршрут № 2 — «Мой младший друг» — проводится в течение всего дозора.

Объекты наблюдения: детские сады, игровые площадки, малыши, оставшиеся на время без присмотра взрослых.

Дозорные на маршруте организуют досуг малышей, проводят с ними игры, беседы, викторины, кукольные спектакли, конкурсы рисунков и другие мероприятия на противопожарную тему, разъясняют, как опасно играть с огнем.

Маршрут № 3 — «Микрорайон» — проводится в течение всего дозора.

Объекты наблюдения: дворы, чердаки, подвалы, сараи и лестничные площадки жилых зданий, пожарные водоемы, гидранты и подъездные пути к ним, средства вызова пожарной охраны.

Дозорные на маршруте составляют карту микрорайона, под руководством пожарных специалистов проводят рейды, в ходе которых выявляют нарушения правил пожарной безопасности и добиваются их устранения, пресекают действия ребят, занимающихся разведением костров вблизи строений, балующихся с огнем; выпускают «молнии», боевые листки, фотогазеты; распространяют противопожарные листовки, открытки; организуют выступления агитбригад на противопожарную тему.

Маршрут № 4 — «Елка» — проводится с 1 января 1982 года по 15 января 1982 года и с 15 декабря 1982 года по 15 января 1983 года.

Объекты наблюдения: новогодние елки в школах, клубах, дворцах и домах пионеров, детских садах и других учреждениях, а также жилых домах.

Дозорные на маршрут проверяют выполнение противопожарных правил при устройстве новогодних елок, состояние эвакуационных выходов, наличие первичных средств пожаротушения, исправность телефонов, распространяют противопожарные листовки, открытки, осуществляют дежурства.

Маршрут № 5 — «Зеленый друг» — проводится в наиболее пожароопасные периоды года.

Объекты наблюдения: лес, лесопарковая зона.

Дозорные на маршруте выявляют случаи разведения костров, сообщают о нарушениях в лесничество, ведут разъяснительную работу среди местного населения и отдыхающих, ликвидируют на лесных дорогах завалы, вывешивают специальные таблички и предупредительные знаки, совершают совместно с «зеленым патрулем» рейды, оборудуют костровые площадки в отведенных лесничеством местах, занимаются посадкой деревьев.

Маршрут № 6 — «Урожай» — проводится в период созревания и уборки урожая.

Объекты наблюдения: поля, тока, зерносушилки.

Дозорные на маршруте оборудуют наблюдательные пункты, потрулируют в местах уборки урожая, проверяют наличие искрогасителей, первичных средств пожаротушения на комбайнах и других сельхозмашинах, выставляют посты, на токах и зерносушилках, организуют выступления агитбригад на полевых станах.

Маршрут № 7 — «Поиск» — проводится в течение всего дозора.

Дозорные на маршруте собирают материалы по истории пожарной охраны и добровольчества, находят в своем городе, селе или районе героев и ветеранов пожарной охраны и ДПО, организуют с ними встречи, оборудуют при школных музеях уголки боевой славы пожарных, являются инициаторами торжественных мероприятий, связанных с проводами в Советскую Армию активистов ДПД и возвращением их после демобилизации.

Маршрут № 8 — «Тревога» — проводится в течение всего дозора.

Участники маршрута принимают участие в оборудовании при школах или пионерских лагерях малых спортивных комплексов, занимаются в секциях пожарно-прикладного спорта, организуют и проводят учебно-тренировочные занятия, участвуют в соревнованиях по пожарно-прикладному спорту и во Всесоюзной пионерской военно-спортивной игре «Зарница», повышают свое спортивное мастерство, овладевают навыками и приемами вистов ДПД и возвращением их после демобилизаций.

II. Подведение итогов и награждение

ЮДПД регулярно ведут дневники дозора; собирают необходимый материал для донесений, составляют отчеты и передают их в районные (городские) штабы дозора один раз в квартал.

Районный (городской) штаб дозора ведет свой дневник работы, подводит итоги работы дружин в районе (городе), составляет донесение и направляет его вместе с дневниками и донесениями лучших дружин в Республиканский штаб.

Областные, городские и районные штабы для определения победителей представляют к 1 февраля 1983 года в Республиканский штаб дозора следующий материал:

— решение районных, городских, областных штабов дозора о присуждении мест 4-м лучшим дружинам юных пожарных (ЮДПД — сельской школы, ЮДПД — городской школы, ЮДПД — дворца или дома пионнров, ЮДПД — клуба или жилищной организации);

— донесения, дневники и другой материал, раскрывающий работу дружин и штабов, занявших призовые места;

— характеристики на пятерых активистов работы с ЮДПД из числа работников пожарной охраны, народного образования, добровольных пожарных обществ, комсомольских, пионерских организаций и руководителей дружин ЮДПД для поощрения по линии Республиканского штаба дозора.

При подверении итогов учитывается непрерывность работы, ее практические результаты, особенности условий, в которых проводится дозор.

Приложение № 2

СОСТАВ

Республиканского штаба дозора юных пожарных

1. Гиоргадзе Эдуард Григорьевич — начальнык Управления пожарной охраны МВД ГССР, начальник штаба
2. Букия Годерзи Климентьевич — зав. Отделом учащейся молодежи ЦК ЛКСМ Грузии, зам. начальника штаба
3. Мгеладзе Георгий Исаакович — председатель Совета добровольного пожарного общества Грузии, зам. начальника штаба
4. Заркуа Энди Андреева — начальник Управления воспитательной работы Министерства просвещения ГССР, зам. начальника штаба
5. Гиоргобиани Гиоргий Аквсентьевич — начальник Управления промышленности Министерсва местной промышленности ГССР
6. Шелия Бабулия Акакиевна — редактор журнала «Пионери»
7. Хомерики Тамаз Иакинтьевич — редактор детских передач Госкомитета по телевидению и радиовещанию
8. Микаберидзе Эка Александровна — редактор детских передач Госкомитета по телевидению и радиовещанию
9. Лазариашвили Нодар Васильевич — зам. председателя Республиканского Совета пионерской организации
10. Самунджян Рафаел Дроевич — начальнык Отдела агитации и пропаганды Управления пожарной охраны МВД ГССР
11. Церцвадзе Иван Николаевич — редактор газеты «Норчи ленинели»
12. Кутидзе Гизо Чичикоевич — инспектор Управления воспитательной работы Министерства просвещения ГССР
13. Мхеидзе Отар Ильич — заместитель начальника УПО МВД ГССР, зам. начальника штаба
14. Кавжарадзе Сергей Моисеевич — зам. председателя Президиума ЦС ДПО Грузии
10. Головин Владимер Николаевич — корреспондент Грузинформа

ეროვნული ბიბლიოთეკა

РЕШЕНИЕ

КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Об учебной программе по русскому языку для грузинских школ и классов с углублённым изучением предмета
4 февраля 1982 года

В соответствии с приказом Министерства просвещения Грузинской ССР № 733 от 23 октября 1980 года Кафедрой методики преподавания русского языка и литературы Центрального института усовершенствования учителей разработана учебная программа по русскому языку для школ и классов с углублённым изучением предмета.

В программе последовательно реализованы принципы практической направленности и коммуникативности обучения, доступности, систематичности, преемственности, опоры на родной язык учащихся, учёта межпредметных связей, сознательности и научности, полно и чётко определены конечные цели обучения различным видам речевой деятельности, требования к языковым знаниям, речевым умениям и навыкам, уделяется большое внимание выработке у старшеклассников желания и умения самостоятельно учиться, указано на роль углублённых занятий русским языком в профессиональной ориентации школьников.

Программа обсуждена, одобрена и рекомендована к утверждению учебно-методическим советом по русскому языку и литературе Министерства просвещения Грузинской ССР (15. 01. 1982) и совещанием методистов институтов усовершенствования учителей республики (15. 12. 1981).

Коллегия решила:

1. Утвердить учебную программу по русскому языку для грузинских школ и классов с углублённым изучением предмета.

2. Управлению учебников (тов. Глонти Н. А.) обеспечить своевременную публикацию и доведение до школ указанной программы.

3. Контроль за исполнением настоящего решения возложить на Управление школ (тов. Суджашвили К. А.)

Председатель коллегии, Министр **О. Д. Кинкладзе**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ერთობლივი 1982 წლის 4 თებერვლის

დადგენილება

მოსწავლეთა 37-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარების შესახებ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. მიღებულ იქნას ცნობად მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის ინფორმაცია 36-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგების შესახებ (დანართი № 1).

2. წლების მანძილზე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობის, ამასში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმისა და წარმატებების მოპოვებისათვის სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული" დაჯილდოვდეს 16 პედაგოგი (დანართი № 2).

3. მიღებულ იქნას ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წინადადება და მოსწავლეთა 37-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ჩატარდეს 1982 წლის 21-24 აპრილს ქ. თბილისში და მიეძღვნას ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავს.

4. დამტკიცდეს მოსწავლეთა 37-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტი (დანართი № 3).

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში განათლების ორგანოებისა და კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელობით ჩატარდა ადგილობრივი სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები და გამარჯვებული ნაშრომები წარმოდგენილია რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში განსახილველად.

6. დაევალოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ქმედითი დახმარება გაუწიონ კონფერენციის ჩამტარებელ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტსა და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონფერენციო ნაშრომთა რეცენზირებასა და სექციური სხდომების მომზადება-ჩატარებაში.

7. დაწესდეს, რომ კონფერენციაში გამარჯვებულთა სიებს ამტკიცებს კონფერენციის ჩამტარებელი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხელმძღვანელობასთან ერთად.

8. დაევალოს გაზეთების „სახალხო განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიისა" და „ნორჩი ლენინელის" რედაქციებს ფართოდ გააშუქონ მოსწავლეთა 37-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მუშაობა.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საჭიროებისათვის გამოუყოს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ი. ორჯონიკიძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე

დანარჩენი ნაწილი
ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

მოსწავლეთა 36-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარების შესახებ

მოსწავლეთა 36-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონ-ფერენცია, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყა-რებასა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლის-თავს მიეძღვნა, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონე-ზე ჩატარდა.

საბჭოთა საქართველოს მიერ სახელოვანი 60 წლის მანძილზე მო-პოვებულ წარმატებებს მიეძღვნა კონფერენციის ბევრი მონაწილის მი-ერ წარმოდგენილი ნაშრომი. რესპუბლიკის სწორედ ამ ღირსსახსოვარ-მა იუბილემ განაპირობა კონფერენციაზე წარმოდგენილ ნაშრომთა თემატიკის ხასიათი, რომელთა უმრავლესობაში ასახვა ჰპოვა საქარ-თველოში მძლავრი ინდუსტრიული ბაზის შექმნისა და საკოლმეურ-ნეო ცხოვრების დამკვიდრების ყველა ეტაპმა.

კონფერენციის ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და მხარეთმცოდ-ნეობის სექციებზე შემოსულ ნაშრომებში ნათლად აისახა იუბილარი რესპუბლიკის წარმატებები მრეწველობის ახალი დარგების — ქიმიუ-რი, მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობის შექმნისა და განვითარების საქმეში.

დაკვირვების, საჭირო პირველწყაროების მიკვლევისა და გამოყე-ნების უნარი გამოავლინეს ქალაქების: რუსთავის, ქუთაისის, ტყიბუ-ლის, ზუგდიდის, ბათუმის, გორისა და ფოთის სკოლების მოსწავლეებმა.

მოწონება დაიმსახურა ყვარლის, გურჯაანის, მაიაკოვსკის, მახარა-ძის, ცხაკაიას, მესტიის, ლანჩხუთის, ბორჯომის, ასპინძის, ვანის, თერ-ჯოლის, ზესტაფონისა და თელავის რაიონებიდან წარმოდგენილმა იმ ნაშრომებმა, რომლებშიც ხაზგასმით აღინიშნა განახლებული საბჭოთა სოფლის სახე.

ყურადღებას იქცევს წითელწყაროს, ზუგდიდის, თელავის (სოფ. რუისპირი), ცხინვალის, ქობულეთის, საჩხერის რაიონების ფოლკლო-რისტთა მიერ ჩატარებული ფართო შემკრებლობითი მუშაობა, რომ-ლებმაც ბევრ საინტერესო და დღემდე უცნობ მასალას მიაკვლიეს.

მხარეთმცოდნეობის, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაცი-ების, ინტერნაციონალური მეგობრობის სექციებზე წარმოდგენილი მრა-ვალი ნაშრომი საქართველოს კომუნისტური პარტიის გმირული წარ-სულის ამსახველ ეტაპებს მიეძღვნა. ქუთაისის, საგარეჯოს, ტყიბულის, რაიონების მოსწავლეების ნაშრომებში გადმოცემულია ადგილობრივი პირველადი პარტიული ორგანიზაციების შექმნისა და ჩამოყალიბების ისტორია, მოთხრობილია თანასოფლელ კომუნისტთა ღვაწლზე — რაი-

ონებისა თუ სოფლების სახის გარდაქმნაში, პირველი ხუთწლედების გეგმების შესრულებაში, მათ მონაწილეობაზე და გმირობაზე დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

ბევრი ნორჩი ავტორის მიერ საინტერესოდ იქნა შესწავლილი ვეტერანი პიონერებისა და კომკავშირლების ცხოვრება და მოღვაწეობა.

შემოქმედებითი ხასიათისა იყო და კვლევის ელემენტებს შეიცავდა მათემატიკის, ფიზიკის, ქართული ლიტერატურის, ქიმიისა და ბიოლოგიის სექციებზე შემოსული ნაშრომები. აქ თავი გამოიჩინეს და მაღალი შეფასება დაიმსახურეს თბილისის მე-12, მე-13, 23-ე, 24-ე, 51-ე, 52-ე, 55-ე, 61-ე, 68-ე, 128-ე, 139-ე, 142-ე, 143-ე, 166-ე, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მე-2, მახარაძის მე-2, მე-5 და სოფელ ნატანების, სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს, გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანის, ქუთაისის მე-2, ტყიბულის 1-ლი, გორის მე-12, ზუგდიდის მე-13, რუსთავის მე-10, აბასთუმნის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

საგრძნობლად განმტკიცდა კავშირი საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის. კონფერენციის ბევრმა მონაწილემ თავისი ნაშრომი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საცდელ სადგურებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში დაამუშავა.

მოსწავლეთა 36-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის დასკვნითი სხდომები ჩატარდა ქ. თბილისში 1981 წლის 21-24 აპრილს. სხდომები მიმდინარეობდა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიებში, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუდიტორიებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში, საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმში, ამიერკავკასიის მეომართა საბრძოლო დიდების მუზეუმში, მცხეთის არქეოლოგიური გათხრების ბაზაზე, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ქალაქის ლაბორატორიაში, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზებში.

24 სექციის 34 სხდომაზე საინტერესო და შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა 581 ნორჩმა ავტორმა. აქედან 231 მოხსენების ავტორი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან იყო ჩამოსული.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკურ კონფერენციაში მონაწილეობა არ მიულიათ ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და წალკის რაიონებს. მოსწავლეთა უმნიშვნელო ნაწილი ჩააბეს კონფერენციის საქმიანობაში აბაშის, ხობის, წულუკიძის, წყალტუბოს, ლაგოდეხის, ყაზბეგის, სამტრედიის ,ონის, ქარელის, ყვარლის, ხაშურის, დმანისისა და ბოლნისის რაიონებმა. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს აღნიშნულ რაიონებში შექმნილი ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტების სუსტ და უხერხემლო მუშაობაზე.

მოსწავლეთა 36-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე საუკეთესო ნაშრომების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა 388 მოსწავლე, მეორე ხარისხის დიპლომით — 50 მოსწავლე. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელი გადაეცა 41 ნაშრომის ავტორს, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სიგელი 14 მოსწავლეს.

ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული დაჯილდოებულ პედაგოგთა სია:

1. ქურხული გიორგი ვასილის ძე — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ასტრონომიის კაბინეტის ყოფილი გამგე, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასპირანტი
2. ბერძენიშვილი ცისანა გიორგის ასული — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი
3. ჯაფარიძე თინა იოსების ასული — რუსთავის მე-2 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი
4. იობიძე ნათელა ვარლამის ასული — რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი
5. გულსტი ალექსანდრე ბენიამინის ძე — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა სახლის რადიოს წრის ხელმძღვანელი
6. ცინცაძე ნანული შოთას ასული — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მათემატიკის წრის პედაგოგი
7. კალაძე ლია სერგოს ასული — თბილისის 75-ე საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი, კიროვის რაიონის მეთოდკაბინეტის გამგე
8. სარქისოვა ედიდა სტეფანეს ასული — თბილისის მე-11 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი
9. სარია ზეინაბ შოთას ასული — ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
10. ხატიაშვილი ციალა ბეგლარის ასული — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
11. გოლეთიანი როზა კონსტანტინეს ასული — ვარკეთილის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
12. ერგეშიძე ნელი ალექსანდრეს ასული — ყვარლის რაიონის ახალსოფლის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
13. შიუკაშვილი ჟუჟუნა დავითის ასული — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
14. ვარლამიშვილი თამარ ვარლამის ასული — თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
15. ყალაბეგაშვილი შალვა ნიკოლოზის ძე — გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სარაიონო სახლის ნორჩ მევენახეთა წრის ხელმძღვანელი
16. სარიშვილი ანა არკადის ასული — თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

მოსწავლეთა 37-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტი

1. ხარაძე ე. კ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (თავმჯდომარე)
2. კობახიძე მ. კ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ხაჩიძე მ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
4. ჟღენტი თ. გ. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)
5. კოლონია თ. ი. — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი
6. წულუკიძე ვ. მ. — აჭარის ასსრ განათლების მინისტრი
7. ფუხაევა ფ. პ. — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგე
8. ბუკია გ. რ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე
9. სუჯაშვილი კ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი
10. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
11. მელაძე ჰ. ვ. — საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
12. ჩიქვანაია ლ. თ. — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი
13. დანიელაშვილი ლ. ი. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე მეთოდურ დარგში
14. გოდერძიშვილი ნ. ი. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე პოლიტმასობრივი მუშაობის დარგში
15. გვაზავა კ. მ. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების გამგე
16. ანთაძე ც. ა. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის თანამშრომელი, მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მეთოდისტ-ორგანიზატორი
17. თუთბერიძე ჰ. მ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 4 თებერვლის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა (დირექტორი შ. ჯინჭარაძე) რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოებისა და შეფი სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სკოლისა და მისი სასკოლო ინტერნატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის საქმეში.

სასკოლო ინტერნატი მოთავსებულია ტიპურ შენობაში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეთა სწავლების, ცხოვრებისა და კულტურული მომსახურებისათვის. ინტერნატის ფართობი სრულყოფილად პასუხობს დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. მას გააჩნია საჭირო აღჭურვილობა და სამეურნეო ინვენტარი. სასკოლო ინტერნატში დებულების შესაბამისად ჩარიცხული არიან ის აღსაზრდელები, რომლებიც სკოლიდან 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობენ.

მთლიანად ათვისებულია სასკოლო ინტერნატის შესანახად 1981 წელს გამოყოფილი თანხები. სასკოლო ინტერნატი დადგენილი ნორმების მიხედვით უზრუნველყოფილია რბილი და მაგარი ინვენტარით, რომელიც სათანადოდაა მარკირებული, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს ინვენტარის ხმარებაში მიღებისა და ჩამოწერის ვადები.

ინტერნატში სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდებიან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. დამაკმაყოფილებელია თეთრეულის რეცხვის ხარისხი და მისი აღსაზრდელებზე გაცემის ვადები.

კარგად არის ორგანიზებული მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვება. შემოწმების დღისათვის საწყობში სახეზე იყო 22 დასახელების პროდუქტი, მათ შორის: ხორცი, რძე, კარაქი და სხვა. ნორმის შესაბამისად ხდება კვების თანხების ათვისება (91 კაპ. დღეში).

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სასკოლო ინტერნატის აღსაზრდელები პარტიის 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის საკუთარი წვლილის შესატანად. სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მოსწავლეებს მოყავთ ბოსტნეული და ბალჩეული, მიღებული მოსავალი ხმარდება ინტერნატის აღსაზრდელთა კვებას. ზრდიან ღორებს და აბარებენ სახელმწიფოს.

აღსანიშნავია, რომ რაიონში, საერთოდ, სასკოლო ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა 95% გათავისუფლებულია კვების ხარჯებისაგან, ხოლო მე-2 საშუალო სკოლაში ყველა აღსაზრდელი უფასო კვე-

ბით სარგებლობს, რასაც ხმარდება სახალხო დეპუტატთა საბჭოს გა-
დაწყვეტილებით გამოყოფილი თანხები ჭარბი შემოსავლებიდან.

სკოლას სათანადო დახმარებას უწევს შეფი ორგანიზაცია — ამ-
ბროლაურის მეათე საგზაო საამშენებლო სამმართველო (უფროსი ამხ.
შ. ქევანაშვილი), რომელმაც გარდა სხვა მატერიალური დახმარებისა,
ეზოს კეთილმოწყობის მიზნით დააგო შავი საფარი 400 კვ. მეტრ ფარ-
თობზე.

სკოლა მუშაობს სტაბილური დღის რეჟიმით. სათანადო ყურად-
ღება ექცევა პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მიღებული დადგენილე-
ბების დროულად შესრულების საქმეს. წინა პლანზეა წამოწეული აღ-
მზრდელობითი მუშაობა, რასაც ხელს უწყობს აღმზრდელის, კლასის
ხელმძღვანელისა და მასწავლებლების ერთობლივი საქმიანობა, დახ-
ვეწილი გეგმიანობა, რომელიც მთლიანად შეესაბამება სასკოლო ინ-
ტერნატების დებულების მოთხოვნებს.

აღნიშვნის ღირსია ამ მიმართებით გამოცდილი აღმზრდელების
ა. ზალკალიანის და მ. ჯაფარიძის ნაყოფიერი მუშაობა.

კარგად არის ორგანიზებული აღსაზრდელთა მორიგეობა და თვით-
მომსახურება. დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა აღზრდილობის დონე.

სასკოლო ინტერნატის აღსაზრდელები მაქსიმალურად სარგებლო-
ბენ სკოლაში არსებული სასწავლო-ტექნიკური საშუალებებითა და
თვალსაჩინოებით, რითაც ძალზე მდიდარია სკოლა. სკოლას ემსახურე-
ბა ლინგაფონის 5 კაბინეტი. მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის სამსახურ-
შია ჩაყენებული სპორტული კომპლექსი, ყოველმხრივ სრულყოფილი
სახელოსნო, პიონერთა ოთახი და ბიბლიოთეკა.

გონივრულად არის გამოყენებული აღსაზრდელთა თავისუფალი
დრო. მათ ამ პერიოდში შეუძლიათ მოუსმინონ ტელეგადაცემებს, რა-
დიოს, ჩაატარონ ორგანიზებული თამაშობანი და შეჯიბრებანი სპორ-
ტის სხვადასხვა სახეობაში (ჭადრაკი, შაში, ფეხბურთი, კალათბურთი,
ფრენბურთი და სხვ.).

სანიმუშოდ არის დაყენებული აღსაზრდელთა სამედიცინო მომსა-
ხურება, რეგულარულად, წელიწადში ერთხელ ეწყობა ღრმა სამედი-
ცინო შემოწმება, სკოლა უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო
დახმარების საშუალებებით.

ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლა შრომის ეფექტიანობისა და
მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის გაშ-
ლილ 1981 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის და-
ჯილდოვდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და პროფ-
კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროში-
თა და ფულადი პრემიით.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნას ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის სას-

კოლო ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობა ადამიანთა
დელთა საყოფაცხოვრებო პირობების სრულყოფისა და სწავლა-აღზრდ
ის გაუმჯობესების საქმეში. აღნიშნულთან დაკავშირებით სასკოლო
ინტერნატის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ სახალხო
განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნებითა და განათლების სა-
მინისტროს სიგელებით (თან ერთვის).

2. გადაწყვეტილება „ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკო-
ლის სასკოლო ინტერნატის მუშაობის შესახებ" დაეგზავნოს სახელ-
მძღვანელოდ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო-
ებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათ-
ლების განყოფილებებს, რომლებმაც აღნიშნული გადაწყვეტილება დაი-
ყვანონ თითოეული სკოლის პედაგოგიურ კოლექტივამდე.

3. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე)
გააშუქოს ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო
ინტერნატის მუშაობის გამოცდილება. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს
განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) სათანადო კონ-
ტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,

მინისტრი Ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი

დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათ-
ლების სამინისტროს კოლეგიის 1981
წლის 4 თებერვლის სხდომაზე

ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დასაჯილდოებელ მუშაკთა ს ი ა:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით:

1. ჯინჭარაძე შაგელი პავლეს ძე — ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი
2. ჯაფარიძე მალინა ზაალის ასული — ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის აღმზრდელი
3. ბენდიანიშვილი მანანა ალიოშას ასული — ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის ძიძა
4. რეხვიაშვილი ლამარა პახოს ასული — ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის ძიძა
5. ალავიძე ნუნუ ამბროსის ასული — ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის მზარეული
6. გიორგობიანი ეთერ შამჯერის ასული — ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის დამლაგებელი

„საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით

1. ზალკალიანი ალექსანდრე პორფილეს ძე — ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის აღმზრდელი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის 1982 წლის 4 თებერვლის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შ ე ს ა ხ ე ბ

სკკპ 26-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა და სახალხო განათლების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებების განუხრელად შესრულებისათვის სახალხო განათლების ორგანოების, განათლების სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პედაგოგიური კოლექტივების, ფართო საზოგადოებრიობის დარაზმვისა და სოციალისტური შეჯიბრების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. გამოცხადდეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების, სასწავლო-საწარმოო კომბინატების, სკოლამდელი აღზრდის და სკოლისგარეშე დაწესებულებების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების პედაგოგიური კოლექტივების, სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

2. დამტკიცდეს მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის სახალხო განათლების განყოფილებათა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს (ცვლიანი) სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, სასწავლო-საწარმოო კომბინატებისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები (დანართი № 1).

3. ცნობად იქნას მიღებული, რომ მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის ყოველწლიურად ორი სასოფლო რაიონის და ერთი ქალაქის (რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა) სახალხო განათლების განყოფილება ჯილდოვდება სსრ კავ-

შირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით, ხოლო რესპუბლიკის ერთი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

4. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდეს:

4. 1. სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის 10 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომითა და პირველი ფულადი პრემიით (მუშაკთა პრემირებისათვის). აქედან: ქ. თბილისის რაიონებისათვის — 1, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებისათვის — თითო გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომითა და პირველი ფულადი პრემიით;

4. 2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 3 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომითა და პირველი ფულადი პრემიით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 87 დიპლომი, პირველი ფულადი პრემიით (რაიონებიდან და ქალაქებიდან თითო სკოლა — აფხაზეთისა და აჭარის და სამხრეთ ოსეთის ა/ო რაიონებისა და ქალაქების სკოლების ჩათვლით)

4. 3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს ხაზით:

— ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი დიპლომი პირველი ფულადი პრემიით;

— საბავშვო სახლების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით;

— სპეკლოლა-ინტერნატებისათვის — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის

ერთი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით;

— სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატებისათვის — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი დიპლომი პირველი ფულადი პრემიით;

4. 4. სასწავლო-სწარმოო კომბინატების დასაჯილდოებლად: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი დიპლომი და პირველი ფულადი პრემიით.

4. 5. საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ხაზით:

— საღამოს (ცვლიანი) სკოლების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა დიპლომითა და პირველი ფულადი პრემიით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი დიპლომი პირველი ფულადი პრემიით;

— დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა დიპლომითა და პირველი ფულადი პრემიით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი დიპლომი პირველი ფულადი პრემიით.

4. 6. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი დიპლომი პრველი ფულადი პრემიით.

4. 7. სკოლისგარეშე დაწესებულებების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი დიპლომი პირველი ფულადი პრემიით.

4. 8. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისათვის — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით.

5. დაწესდეს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ 3-ჯერ გამარჯვებულ კოლექტივს მუდმივ კუთვნილებაში რჩება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

6. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად ფულადი პრემიის ოდენობა განისაზღვრება ამ დადგენილების № 3 დანართის მიხედვით.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს ფულადი პრემია ეძლევათ იმ სახსრების ანგარიშში, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1981 წლის 24 ივნისის № 580 დადგენილებაში „მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ“ იმ ოდენობით, რაც განსაზღვრულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 9 მარტის დადგენილებით № 70/3-4-20 (დანართი № 4).

7. დამტკიცდეს მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია (დანართი № 5).

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის საოლქო, საქალქაო და რაიონულმა კომიტეტებმა:

8. 1. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის შექმნან რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომისიები და ყოველმხრივი პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ მათ მუშაობაში.

8. 2. უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება, წარმართონ ის სახალხო განათლების დარგში სკკპ 26-ე და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა რეალიზაციისა და იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ სკოლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებიდან.

8. 3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივებმა მთავარი ყურადღება გაამახვილონ განათლების ყველა რგოლის მუშაობის ეფექტიანობის, ხარისხის შემდგომი ამაღლებისა და მაღალი შედეგების მიღწევის მიზნით სახალხო განათლების განვითარების ძირეული საკითხების გადაწყვეტაზე, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

8 .4. სისტემატურად გააანალიზონ და კონტროლი გაუწიონ სო-

ციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, რეგულარული დახმარება აღმოუჩინონ ჩამორჩენილ კოლექტივებს. წამოსწიონ ისინი მოწინავეთა დონემდე, განსაზღვრონ და გაავრცელონ შეჯიბრების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილება. მიაღწიონ სახალხო განათლების ყველა რგოლში აღებულ ვალდებულებათა განუხრელ შესრულებას, რისთვისაც ამ საქმეში აქტიურად ჩააბან სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივები, შეფი ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი საზოგადოებრიობა.

8. 5. გააცნონ ყველა სკოლის, სკოლა-ინტერნატის, სკოლამდელი აღზრდის, საბავშვო დაწესებულების, საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები. თითოეული რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებამ (სამმართველომ), მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა, სკოლამ, სკოლა-ინტერნატმა, სკოლამდელმა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებამ, შეფი ორგანიზაციების მონაწილეობით ყოველწლიურად აიღონ ახალი სოციალისტური ვალდებულებანი და დაამტკიცონ ისინი სახალხო განათლების მუშაკთა აქტივებზე, კოლექტივების საერთო კრებებზე.

8. 6. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი (საქალაქო და რაიონული) ვალდებულებები, სოცშეჯიბრში გამოწვეული რაიონის (ქალაქის) ჩვენებით წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ყოველი წლის 15 მარტამდე.

8. 7. სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხები პერიოდულად განიხილონ კოლექტივების, სახალხო განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ერთობლივ სხომებზე;

8. 8. 15 ოქტომბრამდე დააჯამონ ადგილებზე: რესპუბლიკებში, ა/ოლქში, ქ. თბილისში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონებში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს მასალები შედეგების შესახებ წარმოუდგინონ არაუგვიანეს 1-ლი ნოემბრისა.

8. 9. დაწესდეს, რომ რაიონებიდან და ქალაქებიდან წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, სასწავლო-საწარმოო კომბინატების და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების დასაჯილ-

დოებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისმა სამმართველო-განყოფილებებმა და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკურ კომისიას წარუდგინონ საჭირო მასალები არაუგვიანეს 1 ნოემბრისა.

9. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ:

ა) სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად დაუგზავნოს რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს ცნობების ფორმა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, შეიმუშაოს სკოლებისათვის სკოლა-ინტერნატებისათვის, საღამოს სკოლებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე დაწესებულებების და სასწავლო-საწარმოო კომბინატების ანალოგიური ცნობების ფორმა და უზრუნველყოს მათი ადგილებზე დაგზავნა ყოველი წლის 1-ლ ივნისამდე;

ბ) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, პერიოდულად მოისმინოს ინფორმაციები ადგილებიდან და საჭიროების შემთხვევაში საკითხი შეიტანოს კოლეგიასა და პრეზიდიუმზე განსახილველად;

გ) ყოველი წლის 20 ნოემბრამდე დააჯამოს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს.

10. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) გამოაქვეყნოს ეს გადაწყვეტილება და შემდგომში პერიოდულად გააშუქოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

11. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ა. ჟორჟოლაძე).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირობები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობამ განსაზღვრა რა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის, აღნიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანაა უზრუნველყოს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი ზრდა მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, საბჭოთა ადამიანების სოციალისტური და შრომითი აქტივობის ზრდის საფუძველზე.

ვხელმძღვანელობთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“, სახალხო განათლების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით, საჭიროა ამაღლდეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დონე, განვითარდეს იგი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ვასწრებდეთ შეჯიბრების დიალექტიკიებს, ვქმნიდეთ თითოეულ შრომით კოლექტივში ნამდვილი შემოქმედებითი ძიების ვითარებას, შრომით შეჯიბრებასა და ამხანაგურ ურთიერთდახმარებას, დაკისრებული საქმისადმი მაღალ პასუხისმგებლობას, ნაკლოვანებებისადმი, შრომის დისციპლინის დარღვევისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს, უფრო მაღალ ხარისხობრივ დონემდე აგვყავდეს იდეოლოგიური მუშაობა კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანების შესაბამისად.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებები, მათში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლების, სასწავლო-საწარმოო კომბინატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების კოლექტივები.

სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მიზანია მასწავლებელთა, აღმზრდელთა, საწარმოო სწავლების ოსტატთა, სახალხო განათლების ყველა მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარება, რომელიც მიმართულია სკკპ 26-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის მიერ დასახული ამოცანების სარეალიზაციოდ, სკოლაში შრომითი და ზნეობრივი აღზრდის, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მისი ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცების, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის მომზადების გაუმჯობესების, შრომის, ყოფაცხოვრების და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ყურადღების გაძლიერებისაკენ.

1. სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებისათვის

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან კოლექტივები, რომლებმაც შეასრულეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები, აღებული სოციალისტური ვალდებულებები, მიაღწიეს მაღალ შედეგებს სასწავლო, სასწავლო-მეთოდურ, სოციალურ საქმიანობასა და აღმზრდელობით მუშაობაში შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

— საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება;

— შრომითი სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაცია, შრომისათვის მოსწავლეთა მომზადება, მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში სკოლის კურსდამთავრებულთა ჩაბმა;

— მოსწავლეთა საზოგადოებრივი აღზრდის დაწესებულებათა (სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის განვითარება;

— მოსწავლეთა შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დონე; საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ჩაბმა წრეებში და სხვა გაერთიანებებში მათი ინდივიდუალური მიდრეკილებების გათვალისწინებით;

— ბავშვთა ჯანმრთელობის გაძლიერების გამაჯანსაღებელი მუშაობისა და ზაფხულის პერიოდში მოსწავლეთა დასვენების ორგანიზაციისათვის ღონისძიებების გატარება;

— სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური და ხელმძღვანელი კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა, მასწავლებელთა, საწარმოო სწავლების ოსტატთა, აღმზრდელთა, ტექნიკური და სხვა წრეების ხელმძღვანელთა, მეთოდისტების, მწვრთნელ-პედაგოგთა, მუსიკალურ ხელმძღვანელთა და სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხი და გეგმის შესრულება;

— მასწავლებელთა შრომის ორგანიზაცია: სასწავლო კაბინეტების შექმნა, სასწავლო მოწყობილობათა და სასწავლო-თვალსაჩინო მასალით მათი აღჭურვა;

— მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა შრომის, ყოფაცხოვრების და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელება;

— პედაგოგიურ კოლექტივებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და შრომითი დისციპლინის მდგომარეობა;

— სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმის შესრულება კაპდაბანდებათა ანგარიშზე;

— საკლასო და აღმზრდელობითი ჯგუფების ოთახების, სასწავლო კაბინეტების, სპორტული და სააქტო დარბაზების, სასადილოებისა და სხვა ნაგებობების მიშენება;

— სკოლების, ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების კაპიტალური რემონტის ჩატარება.

II. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კოლექტივების, პროფკავშირის კომიტეტების, საწარმოო კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ფართო საზოგადოებრიობის აქტივიზაცია, სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებების შუქზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ განხორციელებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

— სკოლის შენობის მოვლა-პატრონობა, კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარება, სკოლის ზამთრისათვის მზადყოფნა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა;

— საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების კანონის შესრულება, მოსწავლეთა ჩაბმა მეცხრე კლასებში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ დაწესებულებებში, საპროფორიენტაციო მუშაობა, პროფორიენტაციის კაბინეტის ან კუთხის არსებობა; სასკოლო ინტერნატის არსებობა, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ორგანიზაცია, ბავშვთა ტრანსპორტით მიმოსვლა, სკოლაში ცხელი

კერძებით კვების ორგანიზაცია, მეორე ცვლაში მომეცადინე მოსწავ-
ლეთა რიცხვის შემცირება, ავადმყოფი ბავშვების ბინაზე მეცადინეობა,
სკოლის მიკრორაიონში მცხოვრები ფიზიკური და გონებრივი ნაკლის
მქონე ბავშვების სპეციალურ სკოლა-ინტერნატში ჩაბმა;

— სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა,
სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოების ტექნიკური საშუალებებითა
და თვალსაჩინოებით აღჭურვა, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა, სას-
წავლო-საცდელი ნაკვეთის მდგომარეობა;

— სკოლის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა;

— ოლიმპიადებში, შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილეო-
ბის მიღება, ფაკულტატიური და გაღრმავებული სწავლების ეფექტური
გამოყენება, ტექნიკური შემოქმედებისა და სასოფლო-სამეურნეო
პრაქტიკული მუშაობის, მოსწავლეთა სასკოლო თვითმმართველობის
ორგანიზაცია, მილიციის ბავშვთა ოთახებში აღრიცხვაზე აყვანილ მოს-
წავლეთა რაოდენობისა და სამართალდარღვევის ფაქტების სიმცირე,
სკოლის საბიბლიოთეკო ფონდის მდგომარეობა;

— მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, შრომითი აქტიურობა, მოსწავ-
ლეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ სასარგებლო და საწარმოო შრო-
მაში, საზაფხულო პრაქტიკული სამუშაოების ორგანიზაცია, სოფლის
მეურნეობის სარეველა მცენრეებთან ბრძოლა, შეფებთან თანამშრომ-
ლობა;

— ფიზიკური და სამხედრო-სპორტული მომზადების დონე და მა-
სიურობა, მშთ — საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატი-
ვების ჩატარება, მონაწილეობა შეჯიბრებებში, ლაშქრობებსა და სამ-
ხედრო-სპორტულ ღონისძიებებში;

— პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ეფექტიანობა, მასწავ-
ლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა, აღმზრდელთა კვალიფიკაციის
ამაღლების საქმეში ჩატარებული მუშაობა, მასწავლებელთა დახელოვ-
ნების ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული პე-
დაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პერსპექტიული გეგ-
მის შესრულება, მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა, სოფ-
ლის მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა, სოფლის მას-
წავლებლებისათვის კანონმდებლობით არსებული შეღავათების უზ-
რუნველყოფა.

— მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, მათი ინტერე-
სების დაცვის მიზნით ჩატარებული მუშაობა, სამედიცინო შემოწმების
განხორციელება, ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების წესების დაცვა,
უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისათვის ზომების გატარება,
მოსწავლეთა მშობლებთან მუშაობა, სკოლის როლი რაიონში, როგორც
ბავშვთა აღზრდის მაორგანიზებელი ცენტრისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების (სკოლების) სოციალისტური შეჯიბრების პირობები

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები და სპეც-სკოლა-ინტერნატები (სკოლები).

სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

— სკოლის შენობის მოვლა-პატრონობა, საკლასო და საწოლ ოთახების, დერეფნების გაფორმება, კაპიტალური და მიმდინარე რემონტებისა და სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარება, სკოლის ზამთრისათვის მზადყოფნა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა;

— ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების უზრუნველყოფა, მოსწავლეებთან პროფორიენტაციული მუშაობის ჩატარება, პროფორიენტაციის კაბინეტის ან კუთხის მოწყობა;

— სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა, სასწავლო კაბინეტებისა და სასწავლო სახელოსნოების აღჭურვა ხელსაწყო-იარაღებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა, სასწავლო-საცდელი ნაკვეთის, დამხმარე მეურნეობის მდგომარეობა;

— სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების (სკოლების) ეზო-გარემოს კეთილმოწყობა და გამწვანება, ნარგავების გახარება და აგროტექნიკური წესების სისტემატური გატარება;

— სანიტარული კვანძების, ცენტრალური გათბობის სისტემის, წყალსადენ-კანალიზაციისა და ელექტროგაყვანილობის სრულ წესრიგში დაცვა;

— ინტერნატული ტიპის დაწესებულებებში აღსაზრდელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მდგომარეობა;

— ოლიმპიადებში, შემოქმედებით კონფერენციებში, მხატვრულ თვითმოქმედებაში, სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატებები, ფაკულტატიური და გაღრმავებული სწავლების ეფექტური გამოყენება, ტექნიკური შემოქმედებისა და სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკული მუშაობის ორგანიზაცია, მილიციის საბავშვო ოთახებში აღრიცხვაზე აყვანილ მოსწავლეთა რაოდენობისა და სამართალდარღვევის ფაქტების სიმცირე, საბიბლიოთეკო ფონდის მდგომარეობა;

— მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, მოსწავლეთა მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, საგაზაფხულო პრაქტიკული

სამუშაოების ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის სარეველა მცენარეებთან ბრძოლა, ეზო-გარემოსა და ეზოსპირების გამწვანება, შეფებთან თანამშრომლობა;

— ფიზიკური და სამხედრო-სპორტული მომზადების დონე და მასობრიობა, მშთ — საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, მონაწილეობა შეჯიბრებებში, ლაშქრობებსა და სამხედრო-სპორტულ ღონისძიებებში;

— პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ეფექტურობა მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა, აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებული მუშაობა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული პედაგოგიური კურსების მუშაობაში აღმზრდელებისა და მასწავლებლების გეგმიურად ჩაბმა, მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა, სოფლის მასწავლებლების კანონმდებლობით არსებული შეღავათების უზრუნველყოფა;

— მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, მათი ინტერესების დაცვის მიზნით ჩატარებული მუშაობა, სამედიცინო შემოწმების განხორციელება, ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების წესების დაცვა, უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისათვის ზომების გატარება.

IV. საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი საშუალო სკოლები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია საღამოს და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კოლექტივების, პროფკავშირის კომიტეტების საწარმოო კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების აქტივიზაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1976 წლის 6 აპრილის დადგენილების „რესპუბლიკაში მომუშავე ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ განუხრელად განხორციელების საქმეში.

სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

— 16-29 წლის ასაკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების უზრუნველყოფა;

— შრომასთან სწავლების შეთავსების პირობების შექმნა. ამ მიზნით სწავლების რეჟიმის და ფორმების სრულყოფა, სწავლების ეფექ-

ტურობისა და მოსწავლეთა ცოდნის ამაღლება, მეორეწლიანობის შემცირება, შინასასკოლო კონტროლის მდგომარეობა. მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულება;

— სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა შენარჩუნება სწავლის დამთავრებამდე, განთესვის აღმოფხვრა, მეთერთმეტე კლასის დამთავრება;

— გაკვეთილების გაცდენის და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა;

— სკოლის შენობის მოვლა-პატრონობა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ხარისხიანად და დროულად ჩატარება, ზამთრისათვის მომზადება, სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვა;

— სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა, სასწავლო კაბინეტების აღჭურვა სწავლების ტექნიკური საშუალებითა და თვალსაჩინო მასალით. მოსწავლეთა მომარაგება სახელმძღვანელოებითა და სასწავლო წიგნებით; უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების დაცვა;

— მოსწავლეთა ტრანსპორტით გადაყვანის უზრუნველყოფა, კვების ორგანიზაცია;

— იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, სასკოლო თვითმმართველობის მუშაობის ორგანიზაცია, სამართალდარღვევის შემთხვევების აღკვეთა, სკოლის საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა, საწარმოებთან და მშობლებთან ურთიერთობა, ერთობლივი ღონისძიებები, მომუშავე მოსწავლეთა მატერიალური და მორალური სტიმულირება;

— მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; სოფლის მასწავლებლებისათვის კანონმდებლობით არსებული შეღავათების უზრუნველყოფა,

— სასკოლო დოკუმენტაცია და გეგმიანობა.

V. სკოლამდელ დაწესებულებებს შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლამდელი დაწესებულებები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია რესპუბლიკაში სკოლამდელი აღზრდის სრულყოფის საქმეში სკოლამდელ დაწესებულებათა კოლექტივების, პროფკავშირების კომიტეტების, საწარმოო კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ფართო საზოგადოებრიობის აქტივიზაცია სსრ კავშირის განათლებისა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1975 წლის 29 აგვისტოს №11 /795 ერთობლივი ბრძანების „სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდის, ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა შემცირე-

ბის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 20 ივლისის № 443 ბრძანების „სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს XI სესიის მიერ 1979 წლის 15 ივნისს მიღებული დადგენილების სარეალიზაციო ღონისძიებათა შესახებ" და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 18 თებერვლის № 109 ბრძანების „სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის დადგენილების სარეალიზაციო ღონისძიებათა შესახებ" განუხრელი განხორციელებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

— ბავშვთა კონტინგენტის გეგმის შესრულება;

— სკოლამდელი დაწესებულებების შენობების მოვლა-პატრონობა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტებისა და სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარება;

— ეზოების კეთილმოწყობა, გამწვანება, სპორტული იარაღების, სათამაშო დანადგარების შეძენა-დამონტაჟება და მათი მიზნობრივად გამოყენება;

— სკოლამდელი დაწესებულებების უზრუნველყოფა დგამ-ავეჯით, სასწავლო ნივთებით, სათამაშოებით;

— საშეფო ორგანიზაციების მონაწილეობა მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით;

— შიდამეთოდური კაბინეტის მოწყობა, თვალსაჩინო და მეთოდური ლიტერატურით მისი უზრუნველყოფა და გამოყენება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის;

— ბავშვების სკოლისათვის მომზადების მიზნით სკოლასთან ერთად გატარებული ღონისძიებები (პედსაბჭოს სხდომებზე, სემინარებზე, პედაგოგიურ კითხვებზე და აგვისტოს თათბირებზე წაკითხული მოხსენებების თემატიკა) და მათი შედეგები;

— „აღზრდის პროგრამის" რეალიზაცია, ბავშვთა გონებრივი, ფიზიკური, ესთეტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის მდგომარეობა სკოლამდელ დაწესებულებებში;

— თამაშის ორგანიზაცია, თვითნაკეთი სათამაშოების დამზადება და მათი გამოყენება;

— დღის რეჟიმის დაცვა;

— ბავშვთა კვების სწორი ორგანიზაცია;

— ბავშვთა გაჯანსაღებისათვის გატარებული ღონისძიებები (საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შედეგები);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბავშვდღეთა გეგმის შესრულება;

— სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;

— სამედიცინო მომსახურების ხარისხი, დავალებათა შემცირების მდგომარეობა სკოლამდელ დაწესებულებებში;

— აღმზრდელთა პედაგოგიური კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური მომზადების მიზნით გატარებული ღონისძიებები (კურსები, სემინარები, თვითგანათლება);

— მშობლებთან მუშაობის მდგომარეობა;

— შრომის უსაფრთხოების მდგომარეობა.

VI. სასწავლო-საწარმოო კომბინატებს შორის სოციალისტური შეჯიბრების პირობები

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სასწავლო-საწარმოო კომბინატები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია რესპუბლიკაში მოსწავლეთა შრომითი სწავლების საქმეში სასწავლო-საწარმოო კომბინატების კოლექტივების, საბჭოთა მეურნეობებისა და ფართო საზოგადოებრიობის აქტივიზაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 აგვისტოს № 707 და 1974 წლის 23 აგვისტოს № 662 დადგენილებების განსახორციელებლად.

სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

— მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის მოქმედების ასპარეზის გაფართოება;

— სასწავლო-საწარმოო კომბინატის შენობის მოვლა-პატრონობა, კაპიტალური, მიმდინარე, სარემონტო სამუშაოების დროულად ჩატარება, მათი ხარისხი და დახარჯული თანხა;

— სასწავლო-საწარმოო კომბინატის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება, სპორტული მოედნის მოწყობა და სხვა;

— სასწავლო-საწარმოო კომბინატში თეორიული სწავლების კაბინეტებისა და საწარმოო სწავლების, მწარმოებლური შრომის საამქროების გაფართოება, მათი ჩარხებით, ხელსაწყო-იარაღებით შევსება, დამონტაჟება და მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილების კეთილმოწყობა ტექნიკური ნორმების დაცვით;

— სასწავლო-საწარმოო კომბინატის უზრუნველყოფა სასწავლო-თვალსაჩინო მასალებით, სტენდებით, მოქმედი მოდელებით, მაკეტებით, ნაბეჭდი თვალსაჩინოებით და მათი გამოყენება მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და მწარმოებლური შრომის პროცესში;

— სასწავლო-საწარმოო კომბინატის სასწავლო-საწარმოო საამქროებში მოსწავლეთა ბრიგადების მუშაობა, მათი გეგმები და შესრულება;

— სასწავლო-საწარმოო კომბინატში კურსდამთავრებულ მოსწავლეებზე საკვალიფიკაციო თანრიგების მინიჭება;

— კურსდამთავრებულ მოსწავლეთა შრომითი მოწყობა მიღებული სპეციალობის მიხედვით;

— მოსწავლეთა ნაყოფიერი შრომის დროს შექმნილი პროდუქციის სახეობის სირთულე, ხარისხისა და მზა ნაწარმის მოცულობის ზრდა;

— სასწავლო-საწარმოო კომბინატსა და საბაზო საწარმოებს შორის დადებული ხელშეკრულებების მოსწავლეთა რაოდენობასთან შესაბამისობა, დროულად შესრულების მიმდინარეობა, ხარისხი და ეფექტურობა;

— კომბინატებში მოწყობილ სასწავლო-საწარმოო საამქროებში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად მიღებული გაშლილი გეგმები, მათი მოცულობა, შესრულება და ნედლეულით რიტმულად მომარაგება;

— სოფლის სასწავლო-საწარმოო კომბინატზე საბჭოთა მეურნეობიდან, კოლმეურნეობიდან მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად ხელშეკრულებით დასამუშავებელად გაპიროვნებული მიწის ნაკვეთის დამუშავების ხარისხის, მოსავლიანობის ამაღლება, მიღებული პროდუქციის ხარისხისა და მოცულობის ზრდა;

— სასწავლო-საწარმოო კომბინატში მოსწავლეთა ტრანსპორტირების მდგომარეობის გაუმჯობესება;

— სასწავლო-საწარმოო კომბინატში კადრების შერჩევის, დანიშვნის, გადამზადებისა და პედაგოგიური დახელოვნების გაუმჯობესება;

— სასწავლო-საწარმოო კომბინატში უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვა.

VII. რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირობები

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლის გარეშე დაწესებულებები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის ყოველმხრივი სრულყოფა, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში მათი როლის ამაღლება, სკოლის, კომკავშირის, საკავშირო პიონერული ორგანიზაციის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების შუქზე სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, მოსწავლეთა კომიტეტების მუშაობის გაძლიერება.

სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლისგარეშე დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება;

— სკოლისგარეშე დაწესებულებების ორგანიზაციულ-მასობრივი, საინსტრუქტორო-მეთოდური, წრეობრივი და საკლუბო მუშაობის დონის ამაღლება. ბავშვებსა და მოზარდებთან კლასგარეშე მუშაობის ყველა ფორმის შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება. მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ აღზრდაში სკოლისგარეშე დაწესებულებათა კოლექტივების როლის გაძლიერება;

— სკოლისგარეშე დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობა მოსწავლეთა ღრმა და მყარი ცოდნისათვის ბრძოლაში. მოსწავლეთა ინიციატივისა და თვითმოქმედებისადმი სწრაფვის გასაღვივებლად საწრეო, საკლუბო და მასობრივი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გამოყენება;

— კომკავშირის კომიტეტებთან, პიონერთა ორგანიზაციის საბჭოებთან, წარმოებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების კოლექტივებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან სკოლისგარეშე დაწესებულებების ურთიერთკავშირის განმტკიცება;

— წრეების, კლუბებისა და სექციების მეცადინეობებში იმ ბავშვთა და მოზარდთა ჩაბმა, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ პედაგოგიურ ყურადღებას;

— სკოლისგარეშე დაწესებულებათა საინსტრუქციო-მეთოდური მუშაობის დონის ამაღლება სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი. დახმარების გაწევა საკავშირო ლენინური ჩათვლების, საკავშირო პიონერული მარშის „საბჭოთა ქვეყნის პიონერები, ლენინის საქმის ვართ ერთგულები!“, საკავშირო სპორტული კომპლექსის „მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის“, საკავშირო ექსპედიციის „სსრ კავშირი ჩემი სამშობლოა“ პროგრამის შესრულებაში;

— სხვადასხვა კატეგორიის პიონერულ აქტივთან მუშაობის სისტემისა და შინაარსის სრულყოფა;

— მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, წრეებში, კლუბებსა და სექციებში უფროსკლასელთა ჩაბმა, უფროსკლასელთა, სტუდენტთა და წარმოებაში დასაქმებულ კომკავშირელთა რიგებიდან საზოგადოებრივი ინსტრუქტორების გამოყოფა, მათი მომზადება და ფართოდ გამოყენება;

— მუშაობის დაუსწრებელი ფორმების განვითარება;

— მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის გაუმჯობესება;

—სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობა საზაფხულო ბანაკების ორგანიზაციაში;

— სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობა მასობრივი ღონისძიებების, შეკრებების, ზეიმების, დათვალიერებების, ფესტივალების, ოლიმპიადების, შეჯიბრებების, სამხედრო-სპორტული თამაშების, კონკურსების, გამოფენების, ოქტომბრელთა კვირეულის, ბავშვთა და მოზარდთათვის წიგნის, მუსიკის, ფილმის, მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის ჩატარებაში;

— პედაგოგურ კადრებთან მუშაობა, მათი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ოსტატების დონის ამაღლება.

VIII. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების სოციალისტური შეჯიბრების პირობები

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდისა და თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების კოლექტივები.

სოციალისტური შეჯიბრება ტარდება პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის კოლექტივები, რომლებიც გეგმას და აღებულ სოციალისტურ ვალდებულებებს დროულად და ხარისხიანად შეასრულებენ და მიაღწევენ საუკეთესო შედეგებს მუშაობის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

— შიდა რეზერვების გამოვლენის, მათი სრული გამოყენების საფუძველზე პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის ორგანიზაცია და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მუშაობაში უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალის, მასწავლებელ-მეთოდისტებისა და უფროსი მასწავლებლების ფართო მიზიდვა;

— მეთოდურ დაწესებულებათა კადრების იდეური, მეცნიერული და მეთოდური დონის ზრდა;

— პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში სასწავლო დაწესებულებების აქტივიზაცია, კვალიფიკაციის ამაღლების პედაგოგიურ პროცესში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა;

— პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო პროცესში სწავლების ტექნიკურ საშუალებათა დანერგვა;

— მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების კოლექტივებსა და მათ მომსახურებაში მყოფ განათლების დაწესებულებებში იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება;

— მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და პროპაგანდა;

— მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების მუდმივმოქმედი გამოფენების ორგანიზაცია. რესპუბლიკური (საოლქო) გაზეთებისა და პედაგოგიური ჟურნალების ფურცლებზე სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილების განზოგადებული მასალების გამოქვეყნება, ადგილებზე მოწინავე გამოცდილების ორგანიზაციის, სკოლების პრაქტიკაში პედაგოგიური მეცნიერების მიღწევათა დანერგვა;

— ატესტაციის დროს რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებისათვის დახმარების გაწევა ამ რეკომენდაციების შესასრულებლად, მიზნობრივი სემინარების, კონსულტაციებისა და სხვა ღონისძიებათა ორგანიზაცია;

— რაიონული და საქალაქო მეთოდური კაბინეტებისადმი სასწავლო-მეთოდური დახმარების სრულყოფა;

— სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება, შრომის პირობები;

— უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის მდგომარეობა;

— პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და შრომის დისციპლინის დონე.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისება

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებებისა და მათში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების, სკოლამდელი, სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების კოლექტივების წასახალისებლად დაწესებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 24 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომებითა და პირველი ფულადი პრემიით, აქედან: ქ. თბილისის რაიონებისათვის — 1, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქებისათვის თითო გარდამავალი წითელი დროშა დიპლომებითა და პირველი ფულადი პრემიით.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით პრემიით დაჯილდოვდებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლების, სასწავლო-საწარმოო კომბინატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების, აგრეთვე სხვა მუშაკები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში, განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივებისათვის ფულადი პრემიის გაცემა ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1981 წლის 24 ივნისის № 580 გადაწყვეტილებით" მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების შესახებ" განსაზღვრული ოდენობით.

შეჯიბრებაში გამარჯვებულ მუშაკთა ინდივიდუალური პრემირებისათვის იმ დაწესებულებებში, სადაც დარიცხული პრემია შეადგენს 2000 მანეთზე ნაკლებს, შეიძლება იქნას გამოყენებული გამოყოფილი თანხის 100%-მდე, ხოლო თუ პრემია 2000 მანეთზე მეტია—გამოყოფილი თანხის 70%-მდე. პრემიის დანარჩენი თანხა ხმარდება სახალხო განათლების მუშაკთა საცხოვრებელი სახლების, სასადილოებისა და საერთო საცხოვრებლების, კულტურის სასახლეებისა და სახლების, სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლებისა და ბაზების, ბავშვთა ბაღებისა და ბაგების, პიონერთა ბანაკების, სპორტულ ნაგებობებათა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობასა და რემონტს, მათთვის ინვენტარისა და აღჭურვილობის, ბიბლიოთეკებისათვის ლიტერატურის შეძენას, კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურული ღონისძიებების ჩატარებას. განათლების მუშაკთა ინდივიდუალური პრემირებისათვის განკუთვნილი თანხები ნაწილდება მათი ხელფასის და მატერიალური წახალისების ფონდებიდან.

სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისა და ქალაქების განათლების ორგანოების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, საღამოს სკოლების, სასწავლო-საწარმოო კომბინატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების წარმომადგენლები და სხვა მუშაკები, პროფკავშირული აქტივი, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები, რომლებმაც ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, საღამოს სკოლებს, სასწავლო-საწარმოო კომბინატებს, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, ჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით და „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნებით.

მორალურ-მატერიალური წახალისების ღონისძიებები

მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესასრულებლად სახალხო განათლების სისტემაში რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესებულია:

I. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებისათვის

სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთი გარდამავალ წითელი დროშა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 10 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომებით და პირველი ფულადი პრემიით (აქედან ქ. თბილისის რაიონებისათვის — 1, აფხაზეთის, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქებისათვის თითო გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომებით და პირველი ფულადი პრემიით).

II. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა ვიმპელით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სამი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომითა და ფულადი პრემიით;

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის 87 დიპლომი, პირველი ფულადი პრემიით (რაიონებიდან და ქალაქებიდან თითო სკოლა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ა/ო რაიონებისა და ქალაქების სკოლების ჩათვლით).

III. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სამი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით, აქედან ერთი საშუალო სკოლა-ინტერნატისათვის, ერთი საბავშვო სახლისათვის, ერთი სპეცსკოლა-ინტერნატისათვის;

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი დიპლომი, პირველი ფულადი პრემი-

ით, აქედან ერთ საშუალო სკოლა-ინტერნატისათვის, ერთი სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატისათვის.

IV. საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომითა და პირველი ფულადი პრემიით, აქედან ერთი — საღამოს (ცვლიანი) სკოლისათვის, ერთი — დაუსწრებელი სკოლისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი დიპლომი, პირველი ფულადი პრემიით.

V. სასწავლო-საწარმოო კომბინატებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომითა და პირველი ფულადი პრემიით.

VI. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავლი წითელი დროშა, დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით, აქედან ერთი — ქალაქებისათვის და ერთი — რაიონებისათვის.

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი დიპლომი, პირველი ფულადი პრემიით.

VII. სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით, აქედან ერთი — ქალაქებისათვის და ერთი — რაიონებისათვის.

VIII. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის, შედეგების შეჯამებისა და მასალების წარდგენის წესი

სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების, სასწავლო-საწარმოო კომბინატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება ხდება გასული სასწავლო წლისა და

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შედეგების მიხედვით, ხუთ-
წლიანი გეგმის შესრულების გათვალისწინებით, ხუთწლედის დასაწყი-
სიდან დასასრულამდე მზარდი შედეგების მიხედვით საკითხი სოცია-
ლისტური შეჯიბრების ვალდებულებათა აღებისა და წინა სასწავლო
წლის ვალდებულებათა შესრულების შესახებ განხილული უნდა იქნას
პედაგოგიური კოლექტივების საერთო კრებებზე.

განათლების განყოფილებები და პროფკავშირის კომიტეტები, გა-
ნათლების საბჭოებისა და შესაბამისი პროფკავშირების კომიტეტების
ერთობლივ სხდომებზე, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სამინის-
ტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი — კოლეგიებისა და
პროფკავშირის კომიტეტების პრეზიდიუმების სხდომებზე ყოველი წლის
15 ოქტომბრამდე იხილავენ გასული სასწავლო წლის სოციალისტური
შეჯიბრების შედეგებს და გამოაქვთ დადგენილება სოციალისტურ შე-
ჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის ადგილებზე წასახალი-
სებლად და გამარჯვებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (რაიონ-
ში, ქალაქში თითო სკოლა) საქართველოს სსრ განათლების სამინის-
ტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომით და-
საჯილდოებლად წარდგენის შესახებ.

შენიშვნა: განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის კომიტეტე-
ბის დადგენილებაში უნდა ჩანდეს თუ რომელი სკოლა, სკოლამდელი
დაწესებულება ვის ეჯიბრებოდა და ვინ გაიმარჯვა. ასევე აფხაზეთისა
და აჭარის ასსრ რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქ. თბი-
ლისის სახალხო განათლების სამმართველოს, კოლეგიების (სახალხო
განათლების საბჭოების) და შესაბამისი პროფკავშირის კომიტეტების
დადგენილებაში უნდა ჩანდეს, სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონები-
დან და ქალაქებიდან ვინ ვისთან იყო ჩაბმული;

სოციალისტური შეჯიბრების დაჯამებულ მასალებს ასსრ განათლე-
ბის სამინისტროები, ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების
განყოფილებები, სამმართველოები და პროფკავშირის შესაბამისი კო-
მიტეტები ყოველი წლის 1 ნოემბრისათვის ადგენენ საქართველოს
სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კო-
მიტეტში.

სამინისტროსა და რესპუბლიკურ კომიტეტში წარმოდგენილი უნდა
იქნას შემდეგი მასალები:

— ცნობის ფორმა რაიონსა თუ ქალაქში სოციალისტური შეჯიბ-
რების პირობების შესრულების შესახებ;

— ასსრ განათლების სამინისტროს, ა/ოლქის, ქ. თბილისის, ქა-
ლაქების, რაიონების განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის სა-
ქალაქო, საოლქო, რაიონული კომიტეტების დადგენილებები სოცია-
ლისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ, ასევე მოხსენებითი ბარა-
თები ჩატარებული მუშაობის შესახებ არაუმეტეს 4 ფურცლისა;

— ცნობები რაიონის (ქალაქის) გამარჯვებული სკოლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე (სპეციალური ფორმების მიხედვით);

— საჭირო მასალები სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებული სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლის, საღამოს (ცვლიანი) დაუსწრებელი სკოლის, სასწავლო-საწარმოო კომბინატების, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე დაწესებულებების და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას სამინისტროს შესაბამის სამმართველოებში;

— სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით ან „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით დასაჯილდოებელ პირთა სია.

დაგვიანებით ან არაზუსტად წარმოდგენილი მასალები განხილული არ იქნება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია, არაუგვიანეს 20 ნოემბრისა, აჯამებს სოციალისტური შეჯიბრების მასალებს და შეაქვს დასამტკიცებლად სამინისტროს კოლეგიისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმზე.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სახალხო განათლების განყოფილებისათვის გარდამავალი წითელი დროშებისა და დიპლომების გადაცემა ხდება საზეიმო ვითარებაში განათლების მუშაკთა აქტივის კრებებზე საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა მიერ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი მოუწოდებენ სახალხო განათლების ყველა მუშაკს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა, მე-11 ხუთწლედის დავალებათა, სწავლების ხარისხის ამაღლების, სკოლაში შრომითი და ზნეობრივი აღზრდის, სწავლებისა და ცხოვრების ურთიერთკავშირის გაძლიერების, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის მოსწავლეთა მომზადების გაუმჯობესებისაკენ. ამასთან, გამოთქვამენ რწმენას, რომ განათლების სისტემის ყველა მუშაკი თავისი შრომითი მიღწევებით სათანადო წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი №-2

სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების კოლექტივებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა ფულადი პრემიების ოდენობის შ ე ს ა ხ ებ

მომუშავეთა რიცხვი	გარდამავალი დროშით დაჯილდოებისას	დიპლომით დაჯილდოებისას
	პირველი პრემიის ოდენობა	პირველი პრემიის ოდენობა
25-მდე	200 მანეთი	150 მანეთი
25-დან 50-მდე	300 მანეთი	250 მანეთი
50-დან 75-მდე	400 მანეთი	350 მანეთი
75-დან 100-მდე	450 მანეთი	400 მანეთი
100-დან 150-მდე	650 მანეთი	600 მანეთი
150-დან 200-მდე	800 მანეთი	700 მანეთი
200-დან 500-მდე	2500 მანეთი	1000 მანეთი
500-დან 750-მდე	3500 მანეთი	
750-დან 1000-მდე	4000 მანეთი	
1000-დან 1500-მდე	5000 მანეთი	
1500-დან 2000-მდე	6000 მანეთი	
2000-დან 3000-მდე	8000 მანეთი	
3000-დან 4000-მდე	10000 მანეთი	
4000-დან 5000-მდე	12000 მანეთი	
5000-დან 10000-მდე	16000 მანეთი	

ერეკლეულ
ბიბლიოთეკა

ამონაწერი

„მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1981 წლის 24 ივნისის № 580

დადგენილებიდან

4. დაწესდეს, რომ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ფულადი პრემირება ხდება:

— ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციების და დაწესებულებებისა (გარდა სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების) — მათი საგასავლო ხარჯთაღრიცხვის საერთო ეკონომიიდან (გარდა კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიისა) შესაბამისი ბიუჯეტის (რაიონული, საქალქო, საოლქო და სხვა) ფარგლებში, რომელთა სახსრების ხარჯზე ხორციელდება ამ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დაფინანსება.

5. გაიზარდოს სამინისტროების (უწყებების) სახსრების ოდენობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 და 1955 წლის 4 მაისის № 861 გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა პრემირებისა და სამახსოვრო საჩუქრების შესაძენად ხელფასის საერთო (გეგმიური) ფონდის 0,05-დან — 0,1 პროცენტამდე.

უფლება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დართონ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს გამოიყენონ აღნიშნული მიზნით, საჭიროებისამებრ, ამ სახსრების ნაწილი დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელფასის საგეგმო ფონდის 0,5 პროცენტის ფარგლებში.

დაწესდეს, რომ პრემიების გაცემისა და სამახსოვრო საჩუქრების შესაძენად შეიძლება გამოყენებულ იქნას გაერთიანებების, წარმოებებისა და ორგანიზაციების მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდების სახსრები.

იმ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მატერიალური წახალისების ფონდები, ნება დაერთოთ ამ მიზნით გამოიყენონ მუშაკთა პრემირებისათვის გათვალისწინებული სხვა წამახალისებელი ფონდების საშუალებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის ეფექტიანობისა და ოუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საქართველოს სსრ განათლების სისტემის ორგანოებისა და დაწესებულებების სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა:

ქინქლაძე ო. დ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი (კომისიის თავმჯდომარე)

ილელიანი დ .მ. — პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

კობახიძე მ. კ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ვაჩნაძე თ. მ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

დოლიძე ო. ვ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

ნადარაია ა. პ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი (კომისიის პასუხისმგებელი მდივანი)

აბდუშელიშვილი გ. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს უფროსი

გოგელია ა. გ. — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" მთავარი რედაქტორი

გუჯეჯიანი გ. ლ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს უფროსი

დარჩია მ. დ. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი

ვარდოსანიძე გ. ვ. — პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი

ვაჩნაძე ა. დ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი

ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

თუთბერიძე ჰ. მ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

ივანიძე ნ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

კერესელიძე ო. ლ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი

ჟორჟოლაძე ა. ს. — პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილების გამგე
სუჯაშვილი კ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი
უგულავა ი. ვ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტატისტიკური განყოფილების უფროსი
ღლონტი ნ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბელმძღვანელოების სამმართველოს უფროსი
შველიძე ნ. დ. — გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორი
ჩიქვანაია ლ. ი. — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი
ძლიერიშვილი კ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მაძარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში სახელმძღვანელოებითა და სასწავლო პროგრამებით სკოლების უზრუნველყოფის, სასკოლო სახელმძღვანელოებით საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-გამოყენებისა და ადგილებზე მასწავლებელთა მიერ მეთოდური ლიტერატურით სარგებლობის მდგომარეობის შესახებ 3

დებულება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს შესახებ 20

Постановление — о проведении Республиканского дозора юных пажарных 26

Решение — об учебной программе по русскому языку для грузинских школ и классов с углубленным изучением предмета 33

დადგენილება — მოსწავლეთა 37-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარების შესახებ 35

გადაწყვეტილება — ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის მუშაობის შესახებ 42

გადაწყვეტილება — მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ 46

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ჭურცაკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 29/IV-82 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VI-82 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9^1/_4$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 4,75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,5.

შეკვ. № 294 უე 05575 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7